

190  
1969

საქართველოს  
ბავშვთა ჟურნალი



# კამეჩა

8  
1969



გეორგიული  
წიგნიერების  
კავშირები

# მეგობრული და მშვენიერი და მშვენიერი და მშვენიერი



ფოტო  
ა. სპააკოვისა

გვირილები, გვირილები...




**გამარჯობა, მკაო!**

ინათა.  
სოფლის განაპირას, მუხებისა და  
ცაცხვების ტევრში თეთრად მოქათ-  
ქათე ბანაკი ჭერ კიდევ ღრმა ძილ-  
ში იყო, როცა ეზოდან ოციოდე გო-  
გო-ბიჭი ფეხაქრეფით გავიდა და  
ტყით დაფარულ გორაკებზე გაუჩი-  
ნარდა.

რის ხმა გაისმა... ბავშვები ფაციფუ-  
ციტ წამოცვიდნენ და რაზმების მი-  
ხედვით სწრაფად განლაგდნენ პიო-  
ნერულ ხაზზე.  
რაზმეულის საბჭოს თავმჯდომა-  
რემ, ლავოდებელმა ღია კიკილა-  
შვილმა უფროსპიონერხელმძღვა-  
ნელს ვაჟა ნინუას რაზმების მზად-  
ყოფნა უპატაკა. ვაჟამ პიონერებს

უჩინარი „მტრის“ მოახლოება ამც-  
ნო და მოუწოდა დროზე უვნებელე-  
ყოთ იგი...  
დაუყოვნებლივ შეიქმნა მოიერი-  
შეთა „ბატალიონი“ ოცდაათი კაცის  
შემადგენლობით. ბატალიონს თბი-  
ლისის 89-ე საშუალო სკოლის მოს-  
წავლე გ. შიოშვილი ჩაუდგა სათავე-  
ში. წუთში გამართეს ბიჭებმა თბი-

კედლის გაჯეთი გულსაც  
უნდა ახარებდეს და თვალსაც.



საქართველოს ალკა მხედრული კომიზაჟის და ვ. ი. ლენინის  
სახელობის ნორკ პიონერთა ორგანიზაციის რეკონსტრუქციის  
საბჭოს ყოველთვიური საგანგებო ვარდნი



**კომკავშირე**

მ. კ. კ. ი. ს. ბ. ო. 1969

გამოცემის 43-ე წელი

**საქ. კავშირის გამომცემლობა**

კავშირის სახ. სტ. სახელ.  
რისკი



**■ ბავშვ მოგანაპეს შაშის თამაში იტაცებს.**

სცენა პირველად პატარებს დაეთ-  
მოთ.

საინტერესოდ წარმოადგინეს ცე-  
როდენებმა „წითელქუდას“ გმირე-  
ბი, „ყველას შეგვეჭამს მურა“, „ჩი-  
ტო-ჩიორა“ და სხვა.

პატარები უფროსებმა შეცვალეს  
დაიწყო ცეკვა, სიმღერა, მხატვრული  
კითხვა...

ყველას მინც თბილისის 41-ე სა-  
შუალო სკოლის IV კლასის მოსწავ-  
ლემ, ბავშვთა თვითმოქმედების რეს-  
პუბლიკური ოლიმპიადის ორგზის  
ლაურეატმა მაია გორდენიანმა აჯობა.  
ტაშის გრიალში მიიღო მან ბანაკის  
პირველი ხარისხის დიპლომი.

არც სხვა ნიჭიერი ნორჩი შემსრუ-  
ლებლები დარჩენილან გულდაწყვე-  
ტილნი, მათაც დაურვიდათ სამახ-  
სოვრო საჩუქრები.

მალე ძილის დროც მოვიდა...

მშვენიერი სანახაობით ნასიამოვ-  
ნებმა ბავშვებმა დასაძინებელ ოთა-  
ხებს მიაშურეს.

ასე ხალისიანად ენაცვლება დღე-  
ები დღეებს საქართველოს სსრ  
სოფლის მეურნეობისა და დამზადე-  
ბის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავ-  
შირის რესპუბლიკური კომიტეტის  
კიკეთის პიონერულ ბანაკში, სადაც  
ერთდროულად 320-მდე ბავშვი იკა-  
ყებს ჯანმრთელობას, ივსებს ცოდ-  
ნის მარაგს, შინაარსიანად ერთობა.

**ბ. მესხივილი.**

ლისის ცენტრალური ტექნიკური  
სადგურის მიერ ნაჩუქარი საველე  
ტელეფონები და რადიომიმღებები...  
გოგონები სანიტარული ხელსაწყოე-  
ბით აღიჭურვნენ...

„საბრძოლველად“ გამზადებული  
„ბატალიონი“ საიერიშოდ დაიძრა.  
სამხედრო-სპორტული თამაშო ბ ა  
„ცისკარი“ დაიწყო.

პიონერთა უმრავლესობა ბანაკში  
დარჩა. ისინი ჯგუფებად დაიყვნენ.  
ზოგმა ხელმარჯვეთა წრისათვის გან-  
კუთვნილ ოთახს მიაშურა; ზოგმა  
ფრენბურთისა და კალათბურთის  
მოედნები აახმინა, ზოგი ავიომოყ-  
ვარულთა კუთხეში მოკალათდა...

რაზმეულის კედლის გაზეთის რე-  
დაქტორმა ლ. მღებრიშვილმა რედ-  
კოლეგიის წევრები იხმო და მორიგ  
ნომერზე მუშაობას შეუდგა...

ეზოში მდგარი ასწლიანი მუხის  
ქვეშ ბანაკში ცნობილი მოშაშეები,  
თბილისის მე-100 საშუალო სკოლის  
მოსწავლეები გაიოზ ბერუაშვილი,  
მალხაზ მარანელი, ნუგზარ ლიტოე-  
ვი და თამარ გამხიტაშვილი შეიკ-  
რიბნენ.

— ბავშვებო, — მიმართა მეგობ-  
რებს გაიოზ ბერუაშვილმა, — ერთ  
კვირაში ჩვენი ბანაკი მეზობელ „მე-  
ნავთობეთა“ ბანაკთან სპორტულ შე-  
ჯიბრებებს აწყობს. კარგად უნდა  
მოვემზადოთ, ჩვენი ბანაკის ღირსება  
დავიცვათ...

ბიჭებმა შაშის დაფები გამოიტა-  
ნეს და მწვანე მდელიოზე გაშალეს...

ნაირ-ნაირ საქმიანობით გართულ  
ბანაკში, სიწყნარე რომ დადგა, ეზო-  
ში „ცისკრის“ მოთამაშებებმაც შე-  
მოაბიჯეს.

გაოფლიანებულ, დაქანცულ ბავშ-  
ვებს სახეზე კმაყოფილება ეხატათ.  
წყნარი საათის შემდეგ სპორტულ  
მოედნებზე შიდასაბანაკო სპარტა-  
კიდა გაიმართა, რაზმები ერთმანეთს  
ეჯიბრებოდნენ ფეხბურთში, კალათ-  
ბურთში, ფრენბურთში, კლარაკში...

ბანაკის უზარმაზარ კლუბში ამ  
დროს დიდი მზადება გაჩაღებული-  
ყო.

იმ საღამოს ბანაკის ტალანტები  
უნდა გამოველინებინათ...



# ლენინი და ხუთკუთხედიანი „ზღარბი“ ბიჭუნა



1921 წლის 22 ოქტომბერი იყო. მოსკოვის მახლობლად მდებარე ხუტორ ბუტირსკში პირველ საბჭოთა ელექტროგუთანს სცდიდნენ. გამოცდას ვლადიმერ ილიას ძე ლენინიც ესწრებოდა. აუარებელი ხალხი მოსულიყო ბელადის სანახავად. აქ იყვნენ ცნობის-მოყვარე ბავშვებიც.

ლენინმა შეამჩნია, რომ მის გვერდით ქუდჩამოფხატული ცეროდენა ბიჭუნა ატუზულიყო. ამ ბიჭს პეტია ერქვა, მაგრამ თანატოლები სიყვარულით „ზღარბსაც“ ეძახდნენ. ლენინმა „ზღარბს“ თავზე ხელი გადაუსვა და მოეფერა.

იმავე დღეს ლენინი გაეცნო ხუტორის მეურნეობას, ადგილობრივ მუშათა კლუბს. ამ დროს „ზღარბი“ თან ახლდა ლენინს.

რამდენიმე დღის შემდეგ ხუტორში ამანათი მოვიდა, რომელსაც მხოლოდ ორი სიტყვა ეწერა: „ბიჭუნა პეტიას“. პეტიამ გახსნა ამანათი და შიგ საბავშვო წიგნები და ტკბილეული აღმოჩნდა. ამანათს ძია ლენინი უგზავნიდა, პეტიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

დახედეთ ამ სურათს. იგი გაღადებულია ხუტორ ბუტირსკში, ელექტროგუთანის გამოცდის დროს. მასზე ბელადია გამოსახული. ლენინის გვერდით სწორედ „ზღარბი“ ბიჭუნა პეტია ატუზულია.

# ქვემოთ

## ველენის რომა

მოდღველი პოეტი

წინათ ვცხოვრობდით აუტანელ და შავბნელ დროში,  
სხვა ერებივით ჩვენც ვეძებდით ბედნიერებას,  
და ის ლენინმა მოგვიტანა ოქტომბრის დროშით,  
ახლა ჩვენ აქაც დიდ ოქტომბრის მზე გვეფერება.  
კაშკაშებს მხარე, გაზაფხულის შუქი მფენია,  
რადგან გვინათებს გზას ლენინის დიდი გენია.

ისე, ვით მოძმე სხვა ქვეყნები, მთაში თუ ბარად  
მოდღოვაც ჰყვავის...

კაცის მარჯვენს ვადიდებთ, ვაქებთ...  
მაშასადამე, უკვდავია... იცოცხლებს მარად  
ლენინის სიტყვა,  
ლენინის საქმე.  
მუდამ კეთილი ღიმილით გვალხენს  
ლენინის საქმე.

და ჩვენც ვადიდებთ ჩვენს პარტიას, მის ნათელ მიზანს,  
კომუნიზმისკენ რომ მივყავართ უშტკიცეს რწმენით,  
ერთგულ გუშაგად დგას და დიად მშვიდობას იცავს  
სამშობლო ჩვენი.

# ღერხი

## ანაგოლ გუქელი

მოდღველი პოეტი

აღმოსავლეთით გაუწვდია მარჯვენა ხელი,  
საიდანაც ის წითელი მზის ამოსვლას ელის.

შეხარის თავის სამშობლოს და ქვეყნიერებას...  
ასე შეერწყა ის მასების მესხიერებას.

მას ვერ აშინებს ვერც ქარბუქი და ვერც გრიგალი,  
არის ნიდაგ ავ ტაროსთან შეურიგალი.

გინდ ჯანდი იყოს, გინდაც წვიმა, თოვა თუ ყინვა,  
გაგათობს მაინც მისთა თვალთა ნაპერწკლის ბრწყინვა.

აღმოსავლეთით გაუწვდია მარჯვენა ხელი,  
და მოგიწოდებს იყო მუდამ მებრძოლი ქველი.

თუ იმასთან ხარ, შენ ყოველგვარს სძლევე საოცრებას,  
და ხორცს შეასხამ სწორუპოვარ ფიქრს და ოცნებას.

და გინდა—გქონდეს მისებური აზრი და გული,  
მისებრ შეგედლოს შრომა, ბრძოლა და სიყვარული.

თარგმნა არნო ონელიშა.





100

# შენ ზედი და შენ უბნად

## სიბილა ალკაპო იტალიელი პოეტი

დიდო ქვეყანავ, შენს გაშლილ სივრცეს  
უკიდევანო ზღვები არტყია.  
სად ნახავ უფრო ნოყიერ მიწას,  
სად ნახავ უფრო წყალუხვ მდინარეთ?  
ხვალინდელი დღის იმედი გტკია  
და რწმენით გაგყავს გზა მომავლისა!  
დიდო ქვეყანავ, შენ ხარ პოემა,  
ბედნიერებით რომ ავსებ ყველას.  
შენი შვილების ხელებმა შექმნეს  
ეს ხელთუქმნელი ბედნიერება.  
მწამს: აიტაცებს ამ პანგს ჭაბუკი,  
მოხუცს კი სისხლი სიჭაბუკისა  
აუჩქევდება ბებერ ძარღვებში...  
... აქ, შენთან მივწვდი მაღალ სიხარულს  
ამ სიბერის ეამს, როცა პირველად  
დავადგი ფეხი კურთხეულ მიწას.  
ო, დიდებულო ილიჩის მხარეც,  
შენ იცი შრომის მაღლი და ყადრი.  
მიტომაც შენი მშრომელი ხალხი  
დადის ამაყად წელგამართული.  
აქ ყველა შრომობს,  
აქ შრომის ხალისს  
ერთპირ მოუცავს ქალი და კაცი,  
ეს არის წმინდა შემოქმედება,  
მოვალეობა წმიდათაწმიდა.  
და იბედება ასე გულდაგულ  
შენი ბედი და შენი იღბალი.  
რუსეთო! იქ, შორს, რაზლივის ქოხში,  
დიდი ბელადი წინასწარ სჭვრეტდა  
მარად ჩაუმქრალ ოქტომბრის ნათელს;  
იქ ათენებდა ღამეებს თეთრად  
და ფერს იცვლიდა მთელი სამყარო  
ილიჩის მძლავრი ნიჭის წყალობით.  
და აღმოცენდა,  
და აღმოზრწყინდა  
გმირულ მეოცე საუკუნეში  
თავდადებული შრომით შექმნილი  
მზის სახელმწიფო—ძმობის ქვეყანა!

# კულისზუა ზედი

## საქან სიფულინი შახხი პოეტი

ლენინი!—  
ეს მან გამოიხსნა ხალხი ჩაგრული,  
სახელი მისი—ხატებაა ჩვენი ეპოქის.  
ეს მან ათასი გაზაფხული ერთად გვარგუნა,  
მან დაგვალხინა  
და ჭირშიაც მასვე ვენდობით.  
  
ლენინმა მისცა ყველა ლატაკს თავისუფლება!  
იგი ომია, ყველა ომზე სამართლიანი!  
დიდება მისი არც არასდროს დაიღრუბლება  
ვიდრე ერქმევა ადამიანს—ადამიანი!  
  
ლენინი მძლავრი ნათებაა ათასი მზისა!  
განთიადია,  
მისრა-მოსრა რომელმაც ღამე!  
ის ჩვენი მტრების ლახვარია, ზარი და რისხვა,  
იგი დროშაა—  
შეჩვეული გრიგალთა ალერსს!  
იგი მარადი სინორჩეა გაზაფხულისა,  
მიტომ მის სახეს ჩაუმქრალი ღიმილი ახლავს;  
  
აი, კეთილო მეგობარო,  
ჩემი გულისხმა,  
აი, რას ვფიქრობ მე ლენინზე მუდამ და ახლაც.  
თარგმნა ოთარ შალაშვილიძემ.





ეროვნული  
წიგნიერება

გალაქგიონ  
მანსარაძე

მხატვარი  
ზურაბ შიშხარიანი

# გათო, ჩაუი გათო

# ჩაუი გათო

## მ ო თ ხ რ ო ბ ა

შაბათს ბიჭებმა მოილაპარაკეს სანადიროდ წასულიყვნენ. მეცხრეკლასელმა კოტემ თქვა, მე ბიძაჩემის მწევარს წამოვიყვანო. ვთხოვე, მეც წამიყვანეთ-მეთქი.

— ჭერ პატარა ხარ, — მითხრა კოტემ, — ნადირობა ადვილი საქმე ხომ არა გგონია? წესები უნდა იცოდე. კურდღლის მაგივრად ძაღლი რომ შემოგაკვდეს, რა ვქნა?

— ნადირობა ვიცი, — განვაცხადე მე, — მამაჩემმა მასწავლა.

სიმართლე ვუთხარი. მამაჩემი კარგი მონადირე ყოფილა. მაგრამ ომიდან ცალი ფეხით დაბრუნებულია და, აბა, ცალფეხა როგორ ინადირებდა! თოფი მაინც არ გაუყვია. ჩვეულებრივ, ყოველ შაბათ საღამოს კედლიდან ჩამოიღებდა ორლულიან თოფს, გულმოდგინედ გაწმენდა, გააპრიალებდა, დაზეთავდა და ისევ ჩამოჭკიდებდა. მეშვიდე კლასში რომ გადავედი, მამაჩემმა მითხრა, კარგად თუ ისწავლი, ნადირობის ნებას მოგცემო.

სინარულით ცას ვეწიე. სწავლით ისედაც კარგად ვსწავლობდი და ნადირობა სწავლაში ხელს როგორ შემიშლიდა!

ერთ დღეს ნატვრა ამისრულდა. კოლმეურნეობის მისახმელიანი ტრაქტორით ჭალაში წავედით. სახლს კიბეს ვუშენებდით და ქვიშა გვჭირდებოდა. მამამ მითხრა, თოფიც წამოიღეო. გამიკვირდა: ზაფხულში სანადირო არაფერი იყო და თოფი რად უნდა-მეთქი.

ტრაქტორისტი გენო ენამოსწრებული ბიჭი იყო. თოფიანი რომ დაგვინახა, გაიღიმა.

— კარგად მოგიფიქრებიათ, ბიძია სარდიონ, კიბის საძირკვლის ჩაყრის სადღეგრძელოს ირმის მწვადები მოუხდება.

— ახლა ირემი ჭალაში კი არა, მთაშიაც აღარ არის, — თქვა მამაჩემმა, — ჩემს ბავშვობაში ჩვენს ჭალაში შველსაც შევხვედრივარ, გარეულ ღორსაც. ამოწყუნენ.

— აბა, რა იქნებოდა, — დაუმატა გენომ, — ყველას თოფი აქვს და...

— ტყეც გაიჩეხა. ომის დროს მოხუცები და ქალები მთაში ველარ მიდიოდნენ, ადგნენ და ჭალას მიესივნენ. ტყე პირწმინდად გაჩეხილი დამხვდა. ახლა, ნაკრძალად

რომ გამოცხადდა, ტყემ სულ მოითქვა, ხეები წამოიწარდა, ნადირ-ფრინველიც მეტი იქნება.

ტრაქტორის მისაბმელი ძარა მე და გენომ მალე დავტვირთეთ ქვიშით. მუშაობას რომ მოვრჩით, მამაჩემი იქ აღარ იყო. გავეხმინეთ.

— მოდით აქ! — გამოგვძახა. მივედით. მიწაზე იჭდა, ხელში თოფი ეჭირა.

— ხედავთ? — გვითხრა მამაჩემმა და ხელი ტყისკენ გაიშვირა. ჩვენ მხოლოდ მხრები ავიჩეჩეთ.

— იმ გადანატვრ კუნძს ვერ ხედავთ?

— ვხედავთ.

— კუნძზე ასანთის კოლოფი რომ დევს, იმას?

კუნძი ჩვენგან ორმოცდაათ ნაბიჯზე იქნებოდა. კუნძზე ასანთის კოლოფი იდო.

— აბა, ესროლე, — უთხრა მამაჩემმა გენოს. გენომ თოფი გამოართვა, ჩაიმუხლა, დაუმივნა და ესროლა. ასანთის კოლოფი არ განძრეულა.

— ახლა შენი — მიბრძანა მამაჩემმა.

ჩავიმუხლე. თოფი გავმართე და სასხლეტი გამოვწიე. მხარში ისეთი საშინელი დარტყმა ვიგრძენი, კინაღამ გადავკოტრიალდი. მეტკინა, მაგრამ არ შევიმჩინე.

— ახლა, მე მიყურეთ, — თქვა მამაჩემმა და თოფი გამომართვა.

თითქოს არც დაუმივნებიაო, ასე გაისროლა და... ასანთის კოლოფი გაჭრა.

— აბა, იმდენ ორდენს ტყუილად ვინ მოგცემდა! შიგ





გულში არტყამდი ტყვიას ფაშისტებს, ბიძია სარდიონ, არა?

— ეჰ, მეც კარგად მომარტყეს! მერე რა დროს! — ერთ კვირაში ჩვენები ბერლინში შევიდნენ.

— კიდევ ვესვრი, — თხოვე მამაჩემს.

— ესროლე.

გავიქეცი, ასანთი ისევ კუნძზე დავდე და უკან გამოვბრუნდი, დავიჩოქე და თოფი მოვიმარტვე.

— მოიცა, — შემაჩერა მამაჩემმა, — მარტვენა მუხლი მაგრად დაჭირე მიწას. მარცხენა მუხლს იდაყვი ისე დააყრდენი, კვირისტავს ოდნავ გადასცდეს. ასე ხელი არ გაგნძრევა. სამიწენ უსტად უსწორე ნიშანს, კონდანი მხარზე მჭიდროდ მიიკარი. ჰო, აი ასე. ახლა დაუმიწენ და ესროლე.

ვესროლე... ასანთის კოლოფი სადღაც გაფრინდა...

— ვაშაა! — იყვირა გენომ.

მამას შევხედე. ილიმებოდა.

იმ დღიდან, თოფის ტარების უფლება მივიღე. შაბათობით უკვე მე ვწმენდდი თოფს. ბოლოს, ბამბაჯიის ნაჭრით რომ გავამშრალეზდი, მამაჩემი გამომართმევდა, ცალ თვალს მოკუთავდა და ლულაში გახედავდა. მერე ჰილზეების დატენვაც მასწავლა.

სექტემბერში მწყურებზე სანადიროდ გამიშვა. პატრონტაში ოცდაოთხი ჰილზი მქონდა. შინ ოცი ცარიელი ჰილზი მივიტანე, საველე ბადურაში კი ოთხი მწყერი მედო.

— თქვესმეტჯერ აგიცდენია, — თქვა მამაჩემმა, — არა უშავს, მერე უფრო გაიწაფავ ხელსა და თვალს.

დედაჩემმა პირველი ნანადირევი კინალამ ვადამიყარა. მამაჩემს ეჩხუბა: ეგლა მაკლია ახლა, ის ვიღარდო, გივის თოფით არაფერი დაუშავდესო. მაგის საქმე ფრიადზე სწავლაა, სხვა მე არაფერი მინდაო.

— არა, ნუცა, — უთხრა მამაჩემმა, — გივიმ სიტყვა მომცა, ფრიაღზე ვისწავლიო, მაგრამ მარტო სწავლა არ

კმარა. ადამიანი ჯანმრთელი უნდა იყოს, ცხელი მანქანად რომაც უნდა იცოდეს.

ბოლოს და ბოლოს, დედაჩემი მოღბა. ზოგჯერ, სახელის ნაცვლად „მონადირესაც“ კი მეძახდა.

იმ დღეს, კოტეს კურდღელზე ნადირობაში მონაწილეობის თანხმობა რომ დავტყუე, შინ კარგ გუნებაზე დავბრუნდი. ვისადილე თუ არა, წიღენბს ჩავუჭეკი და გაკვეთილები მოვამზადე.

სალამოს თოფი ჩამოვიღე და საგანგებოდ გავწმინდე. მამაჩემმა ლულაში რომ გახედა, შემაქო. გავბედე და ვუთხარი, ხვალ კურდღელზე სანადიროდ მივდივარ-მეთქი.

— მერე, ჰილზეები? — მკითხა მამამ.

— მაქვს.

— არა, შვილო, ჩიტებისათვის დატენილი ჰილზეები კურდღელზე სანადიროდ არ გამოდგება. კურდღლისათვის უფრო მსხვილი საფანტია საჭირო.


ჰილზეები დავტენეთ. მამამ დამარიგა:

— ორივე ლულაში საკურდღელე ჰილზს ნუ ჩადებ, ტყეში უცებ წყლისქათამი რომ წამოგიფრინდეს? საკურდღელე საფანტი წყლისქათამს დაგლეჯს. ამიტომ, სჯობს, თოფში ერთი წვრილსაფანტიანი ჰილზიც გქონდეს.

უთენია ავდექი. მამაჩემიც ადგა. გარეთ ჯერ კიდევ ბნელოდა. ღამით ეთოვა და მიწა თეთრად იყო მოპენტოლი.

მამაჩემმა ჭიშკრამდე გამომაცილა, მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა: აბა, შენ იციო.

კოტე და მეთექვსმეტედი ნოდარი მზად დამხვდნენ. კოტემ თქვა, უნდა ვიჩქაროთ, მონადირე გათენებამდე თუ არ გავიდა შინიდან, ხელი მოეცარებაო. მერე





ძაღლს, რომელსაც „ინდუსას“ ეძახდა, ხაჭაპურის ნატე-  
ხი მიართვა.

გზას გავუდევით, ჭალას მხარი ავუქციეთ. ინდუსა  
ეკალ-ბარდში შეძვრა, უცებ წყლისქათამი აფრინდა და  
ღელის გაყოლებით გადაიკარგა. გასროლა ცერ მოვას-  
წარიო.

ინდუსა ეკალ-ბარდიდან გამოძვრა. ყნოსვა-ყნოსვით  
ღელისპირისკენ გაემართა. ჩირგვებთან შეუკვნდა, იქა-  
ურობა დაუწოხა. ინდუსასთან კოტემ მიიბინა.

— კვალი, ახალი კვალი! — იყვირა მან.

ჩვენც მივირბინეთ. დავრწმუნდით, რომ ნამდვილად  
კურდღლის ნაკვალევი იყო.

მთელი დღე დაძვრებოდა ინდუსა ეკალ-ბარდებში,  
ბუჩქებში, ჭაგნარში, ტყეში, ღრეში. ჩვენი ვარაუდით,  
ათი კურდღლის ნაკვალევი მაინც ნახა, მაგრამ კურდ-  
ღლისთვის თვალის კი არ მოგვიკრავს.

ბევრი ვიარეთ, შაშვებისა და ჩხარტვების დევნაში  
დროს ვითომ არ ვკარგავდით და, კურდღელზე ნადირო-  
ბა იმით დავამთავრეთ, რომ თოფი ერთხელაც არ გაგვი-  
სვრია.

— ეგეც ძაღლია რა! — ბრაზობდა კოტე, — თითქოს  
რამიმეს მაქნისი იყოს, ხაჭაპურით გამოვტენე!

— ძაღლს გაზრდა უნდა, — თქვა ნოდარმა. — გად-  
მა სოფელში ჩემი მამიდაშვილის მეზობელს ლიკვები  
მყავს. აი, ისინი იქნებიან, რაც იქნებიან! მათი მამა მწე-  
ვარი ყოფილა, დედა კი ნამდვილი პოინტერი. ნაჭვარი  
ძაღლი საუკეთესო მონადირე გამოდის თურმე.

სხვა რა უნდა გვექნა და ქვევით დავეშვით. არაფერს  
ველოდით. მაგრამ ჩვენ მაინც ცალ-ცალკე მივდიოდით  
და სამივენი ინდუსას მივყვებოდით.

ხევი რომ ჩამოვათავეთ, ინდუსამ დაიწკაპწკავა და  
ეკალ-ბარდში შეძვრა. კოტე ქვევით იდგა, ნოდარი —  
ჩემს მოპირდაპირე მხარეს. მოვეშალე. ეკალ-ბარდიდან  
წყლის ქათამი ამოფრინდა. თოფი შეწყობული მქონდა,  
მაგრამ სროლა მაინც ვერ მოვასწარი, ქათამი ნოდარის-  
კენ გაფრინდა. ნოდარმა ესროლა. ფრინველი მოტრიალ-  
და და ჩემსკენ წამოვიდა. უმალ ვესროლე. წყლისქათა-  
მი ჰაერში შეტრიალდა, ორჯერ თუ სამჯერ ფრთები და-  
იქნია და ძირს წამოვიდა. ამ დროს კოტემაც ესროლა.

უველას კოტემ დაგვასწრო — ქათამთან მიიჭრა, ხე-  
ლი დასტაცა, მაღლა ასწია და იყვირა:

— რა ეგონა, სად გამასწრებდა! შიგ გულში დავა-  
ხაღე!

— შენ რა დაახაღე, — უთხრა ნოდარმა, — ქათამი  
გივიმ მოკლა.

— გივიმ რა მოკლა?!

— რას მოკლავდა რაც ხელში გიჭირავს, ის მოკლა.  
შენ უკვე მკვლარს ესროლე. ისიც, ვინ იცის, მორატყი  
თუ არა!

— თუნდ ასეც იყოს, ძაღლი ხომ ჩემია! ინდუსას  
რომ არ აეფრინა, რას მოკლავდით?

— უნამუსო ყოფილხარ! — აყვირდა ნოდარი, —  
ვისაც არ უნდა მოგვეკლა, ნანადირევი სამივეს გვე-  
კუთვნის. ჩვენ ხომ ერთად წამოვედით სანადიროდ?

— მე წამოგიყვანეთ, თქვენ მარტო რას წამოხვიდო-  
დით! ასეა თუ ისე, ძაღლი ჩემია, ქათამსაც ბოლოს მე  
ვესროლე. ქათამს ოთხად ხომ ვერ გავჭირით! ორი წილი  
ჩემია, მორჩა!.. — და წყლის ქათამი უბეში ჩაიბუშტა.

გული დამწყვდა, მაგრამ არაფერი ვთქვი, კოტე ჩემზე  
უფროსი იყო და ძალით ხომ ვერ წავართმევდი.

ჩვენ სხვადასხვა უბანში ვცხოვრობდით. ამიტომ კო-

ტე და ნოდარი სხვა გზით წავიდნენ. მე ჩემს გზას დავა-  
დექი. შინ ბელცარიელი როგორ დავბრუნდე-მეთქი,  
ვიფიქრე და ქალისკენ ჩავუხვიე. იქ ჩხარტვებსა და  
ბოლოშავებზე მაინც ვინადირებდი.

უეცრად ამინდი შეიცვალა. ზღვაურმა დაუბერა და  
ღრუბლები ამორეკა. ჭალაში რომ ჩავედი, ხოშკაკალი  
წამოვიდა, ქარიც ქროდა და ხოშკაკალი თითქმის უვე-  
ლაფერს ცელავდა.

უცებ, ბატების გუნდი დავინახე. ბევრი იყვნენ. კი-  
სერწაგრძელებულები ჩაღის ძირებში ბალახს კორტნი-  
დნენ. ახლოს მიპარვა ვერ გავხედე, ვაითუ დამინახონ  
და აფრინდნენ-მეთქი. იქვე ჩავიმუხლეთ და ორივე სასხ-  
ლეთს ფეხი გამოვუშალე...

ბატები აფრინდნენ. დავინახე, ერთი ბატი მიწაზე  
დარჩა. მაშინვე მივვარდი. ბატი გაფრენას ცდილობდა.  
დარბოდა და მოტეხილ ფრთას მიათარტუნებდა. გამო-  
ვიკიდე და დავიჭირე. მაღლა ავიხედე, ხოშკაკალსა და  
ძლიერ ქარს ბატებისთვის პირი აღმოსავლეთისკენ ებ-  
რუნებინა. სწრაფად დავტენე თოფი და ის იყო, თავზე  
გადამიფრინეს, რომ კვლავ ორი სასხლეთი გამოვიწიე.  
ერთი ბატი ჰაერში დატრიალდა და ბურთივით ძირს და-  
ეშვა.

ამინდი უფრო გადაირია. სიხარულისაგან ისე ვი-  
ყავი გაოგნებული, რომ სცივებს სულაც არ ვგრძნობ-  
დი. პირიქით, მესიამოვნებოდა კიდევ. თავში ერთი ფიჭრი  
მიტრიალებდა: „როგორ გაუხარდება მამას! სოფელში  
და სკოლაშიც ხომ ნამდვილი მონადირის სახელი დამი-  
ვარდება“.

ალარ დავაუოვნე. შინისკენ მოვუსვი, თითქმის მიე-  
ფრინავდი.

შინ რომ მივედი, პირველად დეიამ დამინახა.

— მოიკალი, ბიჭო, თავი ამ ყიამეთში, ხომ? — მო-  
მამახა.

— რატომ მოვიკალი ვინადირე და მოვედი.

პალატში შევედი. თუნუქის ღუმელთან მიმჯდარი  
მამაჩემი ჩემსკენ შემობრუნდა, გამიღიმა.

არ ვჩქარობდი. ჭერ თოფი ჩამოვიკიდე კედელზე, მე-  
რე მამისეული ბრენენტის საწვიმარი გადავიწიე და ნა-  
ნადირევი გამოვაჩინე.

— აუ! — იყვირა დათომ. — მამა, იხეხია თუ რა  
არის? — მომვარდა და წელზე ჩამოკიდებულ ბატებს  
ეცა.

მე ბატები მამაჩემს მივაწოდე.

— ბატია, შვილო, გარეული ბატი.

— შენ გენაცვალოს დედა! — ველარ დამაღლა სიხა-  
რული დედაჩემმა.

— ასეა, — თქვა მამამ, — ნადირობის საფასური დი-  
დი სიხარულია, ნადირობა კი ნამდვილი სპორტია, ვაუ-  
კაცური სპორტია.

გვერდითა ოთახში გავედი, ტანსაცმელი გამოვიცვა-  
ლე, მერე პალატში დავბრუნდი და ღუმელს შორიახ-  
ლოს მივუჭექე. თავი ისე ამაყად მეჭირა, გამარჯვებულ  
რანდს რომ ეკადრება.

— კურდღელი ველარ მოკალით? — მკითხა მამაჩემმა.

— რას მოკლავდით, ისეთი ჩერჩეტი ძაღლი გყავ-  
და, ნაკვალევს მის მაგივრად ჩვენ ვაოულლობდით.

— ბატები სადღა დახოცი?

— ჭალაში. კოტესა და ნოდარს რომ დავცილდი, ჭალაში მარტო წავიდი. მთელი გუნდი იყო. ერთი დამჭდარი მოკვალი, მეორე — გაფრენილი.

ვუამბე რა მდგომარეობაშიც ვნახე ბატები.

— ხოშაკალი და ქარი რომ არ ყოფილიყო, ჩვენს ჭალაში ბატები არ დაფრინდებოდნენ. — თქვა მამაჩემმა, — მიპარვაც გაგიჭირდებოდა, დაგინახავდნენ. არც ასე დაბლა გადაგიფრენდნენ თავზე. შენი ბედი ყოფილან. უჩიად, შვილო, ბედნიერად დაიწე ნადირობა!

ღრო ვიხედო და მამაჩემს ვუთხარი:

— მამა, ერთი თხოვნა მაქვს, არ გამაწბილებ?

— თქვი.

— გაღმა სოფელში ნამდვილი პოინტერის ლეკვები იქიდება თურმე, ვიყილოთ.

— გაღმა სოფელში? — გაიკვირვა მამაჩემმა. — ჰო, ვიცი, ვიცი, იქ ნიკიფორე სეფერთელაძეს ეყოლება მონადირე ძაღლები.



ნიკიფორე და მამაჩემი მეგობრებით მიესალმნენ ერთმანეთს, საუბარი გააბეს... ბოლოს ნიკიფორემ იკითხა, რაზე შეწუხებულხართო.

— გავიგე, კარგი ლეკვები გყოლია, — უთხრა მამაჩემმა.

— მერე შენ რა, ნადირობას ხომ არ აპირებ?

— მე არა, ჩემო ნიკიფორე, მაგრამ ეს ბიჭი მგონი კარგი მონადირე უნდა დადგეს. მონადირე კი უძაღლოდ არა მწამს.

ნიკიფორემ ამხედ-დამხედა.

— ეს არის?

— ჰო, უკვე ორი ბატი მოკლა.

— ორი?! რას ამბობ? ოცდახუთი წელიწადია ვნადირობ და ბატი სათოფედ არ გამეკარბია. ჰო, ჩემო სარდიონ, ლეკვებს ვყიდი, მაგრამ ფასი შეიძლება გემკვიროს.

— ჭერ ლეკვები ვნახოთ, ფასზე მერე ვილაპარაკოთ.

ნიკიფორე საძაღლისკენ გაგვიძღვა. საძაღლიდან ჭრელი ძაღლი გამოვარდა, შეგვიღრინა და მერე ისე გაირინდა, თითქოს ნახულისთვის ემზადებოდა. საძაღლეში შევიხედე, ოთხი ლეკვი დავთვალე. ჩაჰყლებილი ტურპირი ჰქონდათ.

— შეძვერი, ბიძია, — მითხრა ნიკიფორემ, — ძაღლს ახლოს არ მოვუშვებ.

ლეკვები მაშინვე გარეთ გამოვყარე. აკრუსუნდნენ, საცოდავად აიბუზნენ, აკანკალდნენ.

— იქით, დინგო, იქით! — ყვიროდა ნიკიფორე და გაავებულ ძაღლს ხელით იგერიებდა. ბოლოს მიუშვა ლეკვებთან. დინგომ ლეკვები გალოკა.

— ერთმანეთზე უკეთესი ლეკვები არიან, — თქვა ნიკიფორემ.

— ვნახოთ, — მიუგო მამაჩემმა. — შენ ძაღლი დაიჭირე, გივი ლეკვებს ჭიშკართან დაჰყრის. რომელ ლეკვსაც პირველად დაავლებს ძაღლი პირს, იმას ვიყიდით.

— ეს კი აღარ გამიგონია, — გაიკვირვა ნიკიფორემ.

— არ გავიგონია და ახლა გაიგონე! აბა, საქმეს შევუდგეთ.

ნიკიფორე ძაღლთან მივიდა, ზურგზე ხელი გადაუსვა, დაუყვავა, მერე ქეჩოში ჩაავლო ხელი და ფეხებშუა მოიქცია.

— ჩქარა! — მიყვირა მამაჩემმა, — გააფრინე ლეკვები, ჭიშკართანი!

პალტოს კალთა ამოვიკეციე და ლეკვები შიგ ჩავყარე. გავიქეცი და ლეკვები ჭიშკართან დავსვი. ნიკიფორემ ძაღლს ხელი უშვა. დინგო შურდულივით გავარდა და ლეკვებთან მიიჭრა. სათითაოდ დაუნოსა ყველანი. მერე ერთ ჭრელ ლეკვს დასწვდა, პირი დაავლო და საძაღლისკენ გააქანა.

— ეს ლეკვი ჩემი იქნება. — თქვა მამაჩემმა.

— მეორეც, რა! — დავედრიჯე მე.

— კარგი, იყოს მეორეც. — გაიღიმა მამაჩემმა.

დინგო საძაღლიდან მალე დაბრუნდა. კვლავ დაუნოსა ლეკვები და წაბლისფერი ლეკვი აიტაცა პირით.

— ესეც ასე, ესეც ჩვენია, — თქვა მამაჩემმა. მერე



იწვა, თუ რაიმე არ შეაწუხებდა, არ წამოდებოდა. მას ყველა „გრძელს“ ეძახდა. მე და დათო ორივეს ვწვრთნიდით, ვავარჯიშებდით: ქვას ან ჯოხს ჯერ დავაყენებდით, მერე შორს გადავუგდებდით და ვუბრძანებდით: „მოიტანე!“ ბათო მაშინვე ვავარდებოდა და სულმოუთქმელად მოგვიბრუნებდა. ჩვენც დავუყვავებდით, შევაქებდით. გრძელს კი... თუ გუნებაზე იყო, გაიქცეოდა ხოლმე გადაგდებული საგნის მოსატანად. ხანდახან მოიტანდა, მაგრამ უფრო ხშირად შუა გზაზე დააგდებდა. ამ დროს ჩვენ ვუწვრებოდით, ვაძულებდით ჯოხი ჩვენთვის მოეტანა. ყურსაც არ აპარტყუნებდა, წინა ფეხებზე გაწვიებოდა,

ფული ამოიღო, ნიკოლოზს მიუბრუნდა და უთხრა:  
— ლეკვებს თხუთმეტ დღეში მოვაკითხავთ, მანამდე დედის რძით იზარდონ.

თხუთმეტი დღის შემდეგ მე და მამაჩემმა ლეკვები წამოვიყვანეთ.

ლამაზები იყვნენ, თვალებს აცდებდნენ და სასაცილოდ დაბაჩბაჩებდნენ.

გახარებული დათო სულ თან დასდევდა, ეთამაშებოდა.

ერთ დღეს მამაჩემმა მითხრა:

— რას იტყვი, გივი, ლეკვებს სახელები არ დავარქვამ?

ბევრი სახელი ჩამოვთვალე, მაგრამ მამაჩემს არცერთი არ მოეწონა. ბოლოს ვთქვი, ჩვენი ლეკვები ყაენებივით დადიან და ყაენები დავარქვათ, ერთი ბათო ყაენი იყოს, მეორე — ჩინგიე ყაენი-მეთქი.

მამაჩემმა გაიცინა: კარგი, ეგრე იყოსო. გადავწყვიტე, ჭრელი ლეკვი ბათო ყაენი ყოფილიყო, წაბლისფერი კი — ჩინგიე ყაენი. მართალია, სახელები მოგვეწონა, მაგრამ ლეკვები რომ წამოიზარდნენ და ხანდახან მათი მოსმობა მოგვესურებოდა, როგორ დავგეძახა: ბათო ყაენი, ჩინგიე ყაენი? თავისდაუნებურად, ყველანი „ბათოს“ გავიძახდით, ან კიდევ: „ჭრელი ბათო“, „წაბლისფერი ბათო“.

ზამთარი და გაზაფხული ისე გავიდა, ლეკვები ხანადიროდ ვერ წავიყვანე. მამაჩემი მიშლიდა: ყველაფერს თავისი დრო აქვს, ჯერ ადრეაო.

ამასობაში ლეკვები გაიზარდნენ. ჭრელ ბათოს მონადირეები შეხედავდნენ თუ არა, ამბობდნენ, წამდვილი პოინტერი, გადასარევი მონადირე დადგებო. წაბლისფერ ბათოს კი ყურადღების დიხსადაც არ თვლიდნენ. მას მაღალი ფეხები და გრძელი ტანი ჰქონდა. დღე სულ

ისე ამოგვხედავდა, თითქოს გვეუბნებოდა: კარგი ერთი, გული ნუ გამიწყალივო.

ავვისტოს ბოლოს წვიმები დაიწყო. მინდორ-ველი მწვრებით გაივსო. იარაღი ავისხი, ბათო და გრძელს გავიშალეთ და ჭაღისკენ გავეწიე. სოფლის ბოლოს სათიბში გავდით. გრძელს ვერ ისვენებდა, კუდს აიპრებდა და შურდულივით ვავარდებოდა, გაუჩინარდებოდა, ბოლოს უკან დაბრუნდებოდა, ფეხებში გამებლანდებოდა, თავისებურად მომიადრებებდა, მერე ჩემს წინ ჩაცუცქდებოდა, გრძელ ენას ვადმოაგდებდა და ქოშინებდა.

უცებ, მწვერფებზე და თრიიკუდებში ბათოს ჭრელი ჭურჭი დავინახე. მივხვედი. ბათო გაჩერდა, თავი ასწია, წამით გაინახა და ისკუბა. ნახული, ბრწყინვალე ნახული.. მწვერი წამოფრინდა, ვესროლე. ჩამოვარდა. ბათო გაქანდა... მეც გავიქეცი. ბათოს ვწვიდი და მწვერი პირიდან გამოვსტაცე. მწვერი ისე იყო დაგლეჯილი, ადამიანს გული არ მიუვიდოდა.

— არა გრცხვენია, ბათო? ქვიან ძაღლს ეს ეკადრება? — გავბრაზდი. მაგრამ განაწყნებულ ამრევილ ბათოს რომ შევხედე, შემეცოდა, მწვერი მივუგდე და გვაფრთხილე: ამის შემდეგ ასეთი რამ თუ გაიმეორე, ცოცხალი ვერ გადავირჩები-მეთქი.

შინ სადამოს დავბრუნდი. დედა ძროხას წველიდა. საწველელში რძეს ჩსრიალი გაუდიოდა.

— მონადირეს გაუმარჯოს! — იყვირა დათომ და ჩემს ჩანთას ეცა, წამგლიჯა, მამაჩემის გვერდით სამფეხაზე ჩამოქდა და ჩანთა ვადმოაპირქვავა.

— ერთი, ორი, სამი... — დაიწყო დახოცილი მწვერების დათვლა. — შეიღია, შეიღია.. ყოჩად, ყოჩად, ჩვენს მონადირეებს!

— შეიღია? — თქვა მამაჩემმა, — მართლაც კარგად გინადირია.

— ერთი მწვერი ბათომ დაგლიჯა.

— რაო?! — შეიცხადა მამაჩემმა. — ბათომ დაგლი-

ჩა? მერე შენ რას მიკეთებდი, რატომ მიეცი ძაღლს მწყერის დასაგლეჯად?

— დამასწრო, ძლივს გამოვსტაცე პირიდან. საჭმელად არ გამოდგებოდა, ავდექი და ისევ მას მივუგდე. ჭანდაბას მისი თავი. პირველი ნაბული გააკეთა და საჩუქარი იყოს-მეთქი.

მამაჩემი ერთხანს ჩუმად იყო. ბოლოს ხმა ამოიღო:

— შენ არ იცი რა გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინე! ძაღლმა რომ პირი დაატანა ნანადირევს, მაშინვე უნდა გებრძანებინა, მწყერი შენთვის მოეტანა. შენ კი სულმა წააგდია და ძაღლთან მიიბრინე, მერე კიდევ — დაგლეჯილი მწყერი ძაღლს შეაჭამე. ძაღლი გააწუწკითუ აწი ძალიან ეცდები, ეგებ რაიმე ეშველოს გაფუჭებულ საქმეს. ჩამოაგდებ თუ არა ფრინველს, მაშინვე აიძულე ძაღლი ნანადირევი მოგიბრუნოს. თუ არ დაგიჭერა, გაუჭავრდი: ასე არ შეიძლება-თქო. მაგრად დატუქსე.

თავჩაღუნული ვუსმენდი მამაჩემს. ხმა არ გამიღია.



ბათომ თავისი წუწკობა აღარ მოიშალა, ჩამოგდებულ მწყერთან თუ არ მივასწრებდი, მორჩა, მწყერი, დაგლეჯილი მხვდებოდა. გრძელო მწყერზე ნადირობაში მონაწილეობას არ დებულბოდა. მთელი დღე დასუნსულედა მინდორში და ჩემთან მხოლოდ მაშინ თუ მოირბენდა, როცა თოფის ხმას გაიგონებდა.

სკოლაში უკვე მონადირეს მეძახდნენ. კედლის გაზეთშიც გამწერეს, როგორც კარგი მონადირე და ფრიადოსანი მოსწავლე. ზოგჯერ, შესვენების დროს, მასწავლებლებიც კი მომაცოლებინებდნენ ხოლმე ნადირობის ამბავს.



— ამდამ შეიძლება მოთოვოს, — თქვა ერთ შაბათს სადამოს მამაჩემმა.

დილით ყველას დავასწარი ადგომა. მართლაც მოეთოვა. თოფი მხარზე გადავიკიდე და გარეთ გამოვედი. თოფიანი რომ დამინახეს, ძაღლები სიხარულით ცას ეწიენ. ბათო მაინც მთლად გადაირია, მკერდზე მახტებოდა, ხელებს მილოკავდა. გრძელო ეწოში დარბოდა.

ზეგნისკენ გავწიე. გორებზე უფრო ხვავიანად დაეთოვა. ძაღლები კურდღლებზე სანადიროდ პირველად მიმყავდა. სული მიმდიოდა, — მინდოდა გამეგო, კურდღელზე ნადირობას შესძლებდნენ თუ ვერა. რა თქმა უნდა, ბათოს იმედი მქონდა, გრძელო კი ხელს თუ შემეშლიდა, თორემ რას გამოიკეთებდა!

შუადღეს ავუყვი. გაგონილი მქონდა, შუადღისპირა ტყეში ბევრი კურდღელია. დღისსპირას რცხილები და თხმელები აშოლტილიყო. აქა-იქ ფერდობებზე ბამბუკის ხეები ხარობდა. ხეების ქვეშ შქერისა და ბაძგარის ბუჩქებში ეკალ-ბარდები გადახლართულიყო.

აღმართი ავიარე. დარკვეთის ქედზე საურმე გზა მიდიოდა. გზის აქეთ-იქით მხარეს ტყე იყო. ვერ გადავწყვიტე საით წავსულიყავი, გული უფრო ზევით, საქორის გორისკენ მიმიწევდა.

ბათომ მიწას ყნოსვა დაუწყო. გრძელოც მასთან მიიჭრა. მივირბინე. კურდღლის ნაკვალევი იყო. ნაკვალევში თოვლის ფიფქი არ ეყარა, მაშასადამე, კვალი ახალი იყო.

— ბათო, ჩემო ბათო, მიდი! — შევძახე.

ბათო ნაკვალევს აედევნა, გრძელოც მას მიჰყვა. ცოტა რომ გამცდნენ, ძაღლებმა წკმუტუნი ატეხეს, მერე გზა განაგრძეს. სულ მალე ყეფა მოისმა. გავიხდე: საურმე გზაზე კურდღელი მორბოდა. მას ძაღლები ისე ახლოს მოსდევდნენ, რომ სროლა ვერ გავბედე, ვაითუ ძაღლი დავეჭრა-მეთქი. გზიდან გადავდექი, ბუჩქებს ამოვეფართე. კურდღელმა წინ ჩამიქროლა. ვესროლე. ავაციდინე. თოფის ხმაზე კურდღელი დარეტიანდა, ძაღლები კი უფრო გათამამდნენ.

მალე ძაღლები თვალს მიეფარნენ. შემეშინდა, არ დამეკარგონ-მეთქი და ძახილი დავიწყე: „ბათო, გრძელო!“

ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოისმა ყეფა. მერე ხმა მოახლოვდა. უცებ გზისპირა ბუჩქიდან კურდღელი გამოვარდა, დამინახა, შეტრიალდა და... თოფიც გავარდა. კურდღელი დაეცა, დაკოტრიალდა. ამასობაში გრძელოც მოვარდა. ქეროში კბილები ჩაავლო და მალა ასწია, განჯღრ-გამოანჯღრია.

— გრძელო, არ დაგლიჯო! — ვუყვირე.

გრძელომ შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, რა გავყვირებს, ვერსად გამექცევაო. მივედი, კურდღელი წავართვი. ცოცხალი იყო. კანკალედა, თავივით წრიპინებდა.

— საწყალო ცანცარა, — ვუთხარი მე, — ჩემი წერა გახდი, შე უბედურო!

მერე გრძელოს მივუბრუნდი:

— ყოჩად, გრძელო, დღეს ბათოს აჯობე და ეგ არის! ბათომაც მოირბინა. ხელში კურდღელი რომ დამინახა, ცანცარასკენ გაიწია, რომ დამენებებინა, ალბათ კიდევ დაგლეჯდა.

კურდღელი ჩანთაში ჩავსვი, თავი ამოვაყოფინე და, რომ არ გაქცეულიყო, ჩანთა თასმით შევკარი.

შუადღემდე კიდევ ვიხეტიალე ტყესა და ღრეში: ერთ კურდღელს ვსდევდი. ძაღლებმა იგი რამდენჯერმე მომიდენეს სათოფედ. ზოგჯერ გასროლას ვერ ვასწრებდი, ორჯერ თუ სამჯერ კი ავაციდდი. ბოლოს სულ დავგვეკარგა, ვედარსად მივაგენით.

ძაღლებს მოვუხმე. პირველი გრძელო მოიჭრა. ჩემს წინ გაჩერდა, თავი მიწაზე დადო და გაირინდა. მივუაღერსე, კისერი მოვფხანე. ბათოც მოვიდა, მასაც მოვეფერე.

ჭირკვზე თოვლი გადავწმინდე და ჩამოვჭექი. ძაღლებიც შორიახლო დასკუბდნენ. ორივეს ენა გადმოეგდო, ქოშინებდნენ.

— დაიდაღეთ არა? — ვკითხე.

გაკვირვებით შემომხედეს, თითქოს კითხვითვე მომმართეს: შენ? შენ კი არ დაიდაღეთ?

— ჰო, დავიდაღე, ძალიან დავიდაღე, მაგრამ რას იზამ, — თევზი თუ გიყვარს, ფეხის დასველებაც არ უნდა დაგეზაროს.

ბუშლატი გადავიწიე და ჩანთიდან ამოყოფილ კურდღლის თავს დავაცქერდი. ცანცარა აფართხალდა, ისევ ცოცხალი იყო. გრძელო წამოხტა, მომვარდა და წკმუტუნი დაიწყო.



დაღმართს დავუყვირე. გრძელო დინჯად მიდიოდა, ბათო კი მაინც არ ისვენებდა, ეკალ-ბარდებში ძვრებოდა. ერთი წყლისქათამი ააფრინა. ვესროლე. წყლისქათამი

ბაერში დაბზრიალდა და ღელის გაღმა ბუჩქებში ჩავარდა. ბათო ბუჩქებში შეძვრა, ნანადირევი გამოათრია, მიწაზე დააგდო და ზედ თათი დაადო.

— მოშიტანე, ჩქარა! — დავუყვირე.

ბათომ თავი ასწია, შემომხედა. მერე წყლისქათამს პირი დაავლო, წყალი გამოტოპა და ნანადირევი წინ დამიგდო.

— ყოჩაღ, ბათო! — შევაქე.

ბევრჯერ გამოვცადე: მოზრდილი ფრინველისათვის ბათოს პირი არ უხდია. აბა მწყერი ყოფილიყო!

ტყე რომ ჩავათავეთ, რცხილაზე ჩხართვი ჩამოჭდა. ვესროლე. ბზრიალ-ბზრიალით ძირს დაეშვა. ბათომ მიმასწრო. ძლივს გამოვგლიჯე. ავდექი და ზურგში კონდახი ვუთავაზე. წკავ-წკავით გაიქცა. კარგა ხანს ახლოს არ მოგვკარებია, უკან-უკან მოგვდედა. თუ შევდგებოდი და უკან მივიხედავდი, ბათოც შეუოვნდებოდა. ბოლოს ვერ მოითმინა, გზა გადამიჭრა და წინ ამეტუზა, ნაღვლიანი თვალით მიუყურებდა, თითქოს მეუბნებოდა; რაც შენ იკადრე, არ გეკადრებოდაო. ყურადღება არ მივაქციე, ვაგრძნობინე, რომ გაბუტული ვიყავი. ფეხებში გამებლანდა და ლაქუცი დამიწყო. მოვლბი, თავზე ხელი გადავუსვი...

ახალი წლის მეორე დამეს ბარაქიანად მოთოვა. დილაადრიან ავდექი, სანადიროდ გავემზადე და გარეთ გამოვდი. ბათო და გრძელო კიბეზე შემომეგებნენ.

ზევით, კორტოხზე ავედი. ერთ წიფელთან ძაღლები შეჩერდნენ, რაღაცნაირად აწკავწკავდნენ. მეც წიფლისკენ გავემართე. წიფლის ვეება ძირებში ბუნავი შევნიშნე. ძაღლებს ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევიათ, წკმუტუნებდნენ და მიწას ფხოჭნიდნენ. ბოლოს, გრძელომ ბუნავში ცხვარი შეჭყო და ყეფა დაიწყო. ხელი ვტაცე და გარეთ გამოვათრიე.

გრძელომ შემომიღრინა.

— გადირიე?! — ვუყვირე მე, — რა იცი შიგნით რა ამბავია, რომ წაგესიონ და მოგახრჩონ?!

ის იყო, გრძელო თითქმის დავიყოლიე, რომ ბათო გაგიჟდა დაღუნა თავი და ბუნავში შეძვრა. რა მექნა, ბათოს ხომ შევლა უნდოდა და ამიტომ თვითონვე ვუბრძანე გრძელს: აბა, მიდი-მეთქი.

გრძელოც მალე გაუჩინარდა. ბუნავს უური მივადე.

შიგნიდან რაღაც არაადამიანური ხმაური ისმოდა. ბუნავში თოფის ლულა შევყავი და ხვრელის კედელს ვესროლე. ვიცოდი, თოფის ხმით ძაღლებს გავამხნეებდი, მხეცები კი უფრო შეშინდებოდნენ.

უცებ, ბუნავიდან რაღაც ცხოველი გამოვარდა... მას მეორეც მოჭყვა. ვიცანი — ტურები იყვნენ. პირველს ვერა, მაგრამ მეორეს ვესროლე. ამასობაში გრძელოც გამოიჭრა გარეთ. ტურამ წაიფორხილა. გრძელო მისწვდა, უკანა ფეხში კბილი ჩავლო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა,

მოიქნია. ტურამ თავი წიფელს მიახეთქა და დროს გაქცა. თოც გამოჩნდა. მაშინვე ძმას მიეშველა...

მოულოდნელად ძახილი მომესმა: ვიღაცა გზადაკარგულივით გაჭყვიროდა. გავებმალურე. იგი ხმას გამოჭყვა და ჩვენთან მოვიდა.

ზემოუბნელი ბიძია ქრისტო იყო. ისიც მამარჩემით ფრონტზე იყო ნამყოფი, მაგრამ უვნებლად გადარჩენილიყო.

— გივი, შენა ხარ? — ამომძახა ქვევიდან. მერე, წიფლისქვეშ გაგორებული ტურა რომ დაინახა, ახლოს მივიდა, დრუნჩზე ხელი მოჭკიდა და კბილები დააკრეჭინა.

— ახია შენზე, ვინ იცის, რამდენი ვარიკასა და ყვინჩილას ცოდეა გაწევს!.. — მერე მე მომიბრუნდა: — ყოჩაღ, ნამდვილი მონადირე ყოფილხარ!

შემდეგ ისევ ტურას მიხედა:

— გატყავება უნდა მაგ რჭულძაღლს.

— მე არ ვიცი გატყავება, შინ წავიდე და მამარჩემი გაატყავებს.

— რას ამბობ, ბიჭო, ტურის შინ მიტანა ვის გაუგია! შენ მომეშველე, თან მიუყრე და ისწავლი..

ბიძია ქრისტომ მაზარის ღილები შეიხსნა, შარვლის ჯიბიდან თოკი ამოიღო, ტურას კისერზე მოაბა, ასწია და რცხილის ტოტზე ჩამოკიდა.

ძაღლები წამოდგნენ, ტურას შეუყუფეს.

— აჰამე რამე, — მითხრა ბიძია ქრისტომ, — არ მიყვარს ძაღლები ნადირის გატყავებას რომ უყურებენ.

ხაჭაპური ამოვიღე, შუაზე გავტებე, ერთი ნატები ერთს მივუგდე, მეორე — მეორეს.


ბიძია ქრისტო გატყავებას შეუდგა. მეც მივეშველე. რომ გაატყავა, ტურის გვამი ბუჩქებში გადაისროლა, ტყავი კი დაკეცა და გამომიწოდა.

— მამაშენს მიუტანე, დანარჩენი მან იცის.



ციტრუსების ბაღში მიმავალ საურმე გზას გავუყევით. ბიძია ქრისტომ თქვა: დღეს ეს იკმარე, ხვალ კი მიწაწითელას ზეგნებზე ვინადიროთო.

მართალი გითხრათ, საკმაოდ დაღლილი ვიყავი, მაგ-



რამ არ ვიმჩნევდი. ხუმრობა ხომ არ იყო, ნამდვილ მო-  
ნადირესთან ერთად ვნადირობდი და თავს ხომ არ შე-  
ვირცხვენდი?

ციტრუსების ბაღში აქა-იქ თუთის ხეებიც ხარობდა.  
ბებერ თუთებს სურს აწყობილიყო.

— მზად იყავი, — მითხრა ბიძია ქრისტომ, — სუ-  
რობებში ახლა შაშვები და ჩხარტვები დაძვრებიან.

იგი სურსოან თუთის ხეებთან ჩერდებოდა და სურს  
თითოეულ ფოთოლსაც კი რაღაცნაირი აღლოიანი თვა-  
ლით უყურებდა.

— ხედავ, — მითხრა მან, — სურს ფოთლები ინ-  
ძრევა, იქ შაშვია, თუ გინდა — ესროლე.

— არა, თქვენ ესროლეთ, თქვენ დაინახეთ, მე ხომ  
არა.

— რომ გეუბნები, ესროლე!  
დაუუჭერე. სურს ფოთლებიდან შაშვი ჩამოვარდა.  
ბათო მაშინვე თავზე დააცხრა.

— არ გაბედო! — დაუყვირა ბიძია ქრისტომ. ძალ-  
ღმა თავი ასწია. ბიძია ქრისტომ კვლავ დასჭყვივლა. ბა-  
თო მიხვდა მსუნავობა აღარ გამოიმადგებო, შაშვს თათი  
დაადო და გაირინდა.

— არ მიხვიდე! — გამაფრთხილა ბიძია ქრისტომ. —  
დაუყვირე, მომიტანე-თქო.

დაუყვირე.  
ბათომ შაშვს პირი დაავლო და ჩემსკენ გამოქანდა.  
ნანადირევს რაღაცნაირად ატრიალებდა პირში. მომი-  
ტანა და წინ დამივლო.

— ხედავ? საუკეთესო ძაღლია, ჭკვიანზე ჭკვიანი. ახე,  
ნანადირევი გამოცდილ ძაღლს მოაქვს: ნერწყვით რომ არ  
დაასველოს, ნადავლს ენის წვერსა და კბილებს შუა ატრი-  
ალებს. ცოლდა არ არის, ასეთი ძაღლი ნანადირევისკენ  
შესაჭმელად იწვევდეს? ვერ დაგიგეშია კარგად, ამიტომ  
ყოველთვის ფრთხილად უნდა იყო, თვალი არასდროს არ  
უნდა მოაშორო. შეიძლება თანდათან გამოკეთდეს და  
მსუნავობა მოიშალოს.

ნელა მივაბიჭებდი.

— შეხედე, — მითხრა ბიძია ქრისტომ, — ახი მტრე-  
დი მაინც იქნება იმ წიფელზე.

— მივეპაროთ! — შევძახე მე.

— შიპარვა არც ისე ადვილია. მტრედი ძალიან  
ფრთხილი ფრინველია. აი, ზევითა ტოტზე ერთი მტრედი  
განმარტოებთა ზის. იგი გუშაგია. მისი მოვალეობაა  
აქეთ-იქით იყუროს, მტრის მოახლოება მაშინვე ამც-  
ნოს თანამომხეებს. თუ შეგვაჩინია, წამსვე აფრინდება და  
სხვებიც მიპყვებთან. მიყვარს მტრედების აფრენა.  
ფრთა-ფრთას რომ შემოჰკრავენ, რაღაცნაირად სასი-  
მოვნო ხმას გამოსცემენ. მტრედს კაცმა არც უნდა ეს-  
როლოს, ლამაზი ფრინველია.

— შაშვიც ლამაზია, — ჩავურთე მე. — დავტყვათ  
მონადირეებმა, — ლამაზ და სასარგებლო ფრინველებს  
არ ვესროლოთ.

— კარგი იქნება. მონადირეს ნადირ-ფრინველი უნდა  
ეცოდებოდეს და უყვარდეს კიდეც. ბუნების სიმდიდრეს  
არასდროს უდიერად არ უნდა მოექცე, არ უნდა ამოწ-  
ყვიტო. მაშინ სანადიროდაც იქნება და სანაშენოდაც  
დარჩება...

გაბრძელება  
შემდეგ  
ნომერში




თინათინ ჩიჩუა,  
არქიტექტურის კანდიდატი

ძველი წელთაღრიცხვის პირველი  
ათასწლეულის დასაწყისს აპენინის ნა-  
სევარკუნძულზე მცხოვრებმა იტალი-  
ელმა ტომებმა: ლათინებმა და საბინე-  
ლებმა, მდინარე ტიბრის მახლობლად,  
კვირინალისა და პალატინის ბორცვებზე  
დასახლებები შექმნეს. ამ დასახლებები-  
დან წარმოიქმნა ქალაქი რომი. ამ ტო-  
მებს სხვა დასახლებული ცენტრებიც  
ქონდათ. ყველას მათ ერთად „პოპუ-  
ლუს რომანუსს“, ანუ რომაელ ხალხს  
უწოდებდნენ.

ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოდან რომი  
იწყებს დაპყრობითს ომებს. ძვ. წ. და-  
სასრულისათვის იგი უკვე ანტიკური  
სამყაროს უძლიერესი და უმდიდრესი  
მონათმფლობელური სახელმწიფოა. მისი  
სამფლობელოები გადაჭიმული იყო ვე-  
ებერთელა ტერიტორიაზე, ხმელთაშუა  
ზღვის აუზში, სპარსეთის ყურეიდან ატ-  
ლანტის ოკეანემდე; მისი ჩრდილოეთის  
საზღვრები კი ბრიტანეთის კუნძულე-  
ბამდე აღწევდა. უთვალავი განძი, ფუ-  
ლი, მონები, ხელოვნების ნაწარმოები  
მოედინებოდა რომში დაპყრობილი ოლ-  
ქებიდან — ლატიფუნდიებიდან.

სამხედრო და ეკონომიური ძლიერე-  
ბის ზრდასთან ერთად, რომის სახელმ-  
წიფოში დიდ გაქანებას პოულობდა სამ-  
შენებლო საქმიანობა. სამხედრო ლაშ-  
ქობებმა, უპირველესად ხელი შეუწყო  
საინჟინრო ნაგებობათა სწრაფ განვი-  
თარებას. რომელ ლეგიონერთა მარში-  
სათვის იგებოდა შესანიშნავი გზები, სი-  
დები. დიდ ტერიტორიაზე გზების გახ-  
სნა და სიმდიდრე ხელს უწყობდა ვაჭ-  
რობა-ხელოსნობის განვითარებას, ქალა-  
ქების აყვავებას. საზოგადოებრივი ცხოვ-  
რების რთული სახე, სოციალურ-კლასო-  
ბრივი დაყოფა ქალაქებში ნაირფერო-  
ვან ნაგებობათა შენებას განაპირობე-  
და.

ძველი რომის არქიტექტურა უპირ-



ქალაქი კომაენი. ბატიონის სახლის პარისტოლური ეზო  
ბაზილიკისა და ქანდაკებებით დაფორმებული იხო.

სალის რაციონალური, ეკონომიური გამოყენება, ხშირად ერთიდაიგივე ნაგებობაშიც, სადაც ბეტონის ნაირსახეობას სხვადასხვა ჯიშის ქვა და აგურიც შემოხმობდა.

ტრადიციის მიხედვით, რომის სახელმწიფოს ისტორიას სამ პერიოდსა დაყოფენ: მეფეების პერიოდი (VIII-VI საუკუნეები ძვ. წ.), რესპუბლიკური პერიოდი (VI-I საუკუნეები ძვ. წ.) და იმპერატორების პერიოდი (I-IV საუკუნეები ახ. წ.).

რომაელმა არქიტექტორებმა ბევრი რამ გადმოიღეს ეტრუსკებისაგან, რომლებმაც თავის მხრივ ბერძნული კულტურის გავლენა განიცადეს. რომის არქიტექტურა იმავე ანტიკურ მონათმფლობელური ფორმაციის ეპოქაში შეიქმნა, როდესაც საბერძნეთის არქიტექტურა იქმნებოდა, იგი, მისი შემოქმედებითი გამგრძელებელი და განმავითარებელი გახდა. რომაულმა არქიტექტურამ მართო უამრავი, პრინციპულად ახალი არქიტექტურული ნაგებობები კი არ დაგვიტოვა, თავისი საკუთარი არქიტექტურული ენაც შექმნა.

რომის არქიტექტურის სტილისტური თავისებურებების გაცნობისათვის, მისი არსის მთლიანი სურათის წარმოდგენისათვის საკმარისია შემოთხამოთვლილ ნაგებობათა ტიპებიდან ავირჩიოთ და განვიხილოთ ცნობილი ძეგლები.

რომაული ტალიური საცხოვრებელი სახლის შესასწავლად ძვირფასი მასალას ქალაქი პომპეი იძლევა. მდიდარი, სავაჭრო და საკურორტო ქალაქი პომპეი ახ. წ. 79 წელს ვეზუვის ამოფრქვეულ ფერფლქვეშ დაიპარხა. დღეს ეს ქალაქი თითქმის მთლიანად გაწმენდილია და საყოველთაოდ ცნობილი მედარე ქალაქია, ქალაქი — მუსეუმი, რომლის ქუჩებსა და მოედნებს, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ნანგრევებს ტურისტების ხმაური აცოცხლებს. პომპეის საცხოვრებელ სახლებს შორის მხატვრულ-არქიტექტურული ღირსებებით გამოირჩევა: სალუსტიუსის, პანსას, ფავნის, ვერცხლის ქორწინების, ტრაგიკული პოეტის, ბეტიების და სხვა სახლები. ეს ძირითადად ერთსართულიანი სახლები, ერთი შეძლებული ოჯახის საცხოვრებლად ყოფილა განკუთვნილი. ყველა მათგანს ერთიანი დაგეგმარებითი პრინციპი უდევს საფუძვლად და კომპოზიციური ცენტრები აქვს: სვეტებიანი ანუ პარისტოლური ეზო და ატრიუმი — სახლის წინა, მთავარი ნაწილი, ვესტიბულის დანიშნულებით. ატრიუმს კერძო სერვლი — კომპლუვიუმი ჰქონდა, სა-

ველესად გამოირჩევა ნაგებობათა ტიპების მრავალფეროვნებით: საცხოვრებელი სახლები, ტაძრები, თეატრები, ამფითეატრები, ბაზილიკები, ტაბერნები, ტაბულარიუმები, ცირკები, თერმები, სატრიუმფო თაღები, სატრიუმფო სვეტები, ხიდები, აკვედუკები მართო რომის მეტროპოლისის ქალაქებში კი არ იგებოდა. არამედ ყველგან, შორეულ ლატიფუნდიებშიც. დღეს ესპანეთისა თუ სამხრეთ საფრანგეთის, წინა აზიისა თუ ჩრ. აფრიკის ტერიტორიაზე შემორჩენილია ძველი რომის არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლები.

დიდი მასშტაბის სამშენებლო საქმიანობას თან სდევდა ტექნიკის წარმატება, ახალი ხერხებისა და საშუალებების გამოყენება, რომელიც რომაელ არქიტექტორებს, ბერძნულ სვეტოვან-კოჭოვან სისტემასთან შედარებით, უფრო რთული და მრავალსახოვანი კონსტრუქციების გამოყენების საშუალებას აძლევდა. ასეთი გახლდათ მაღალ დონეზე დამუშავებული და სხვადასხვა ტიპის ნაგებობები, ფართოდ გამოყენებული მრუდხაზოვანი, თალოვან-კამაროვანი კონსტრუქციები. ასეთი კონსტრუქციების განვითარებას ხელი შეუწყო სამშენებლო მასალის — ბეტონის შექმნამ და ფართოდ დანერგვამ. რომაული ბეტონის გაჩენას უკავშირებენ ძვ. წ. III საუკუნეს, როდესაც თლილი ქვის წყობისას, კირის ხსნარში დაიწყეს ჰიდრავლიკური დანამატის, ვულკანური ქვიშის, ე. წ. „პუცოლანის“ გამოყენება. (ტერმინი ადგილის სახელწოდებასთანაა დაკავშირებული, სადაც ეს ვულკანური ქვიშა მოიპოვებოდა). გარდა ბეტონისა, რომაელები მშენებლობაში ფართოდ იყენებდნენ ქვას. ადრეულ პერიოდში მასობრივ მშენებლობაში ალიზი იყო გამოყენებული. შემდეგ მისი ადგილი ცეცხლზე გამომწვარმა ბრტყელმა აგურმა დაიკავა. საერთოდ კი, რომის სამშენებლო ტექნიკისათვის ძლიერ დამახასიათებელია სხვადასხვა სამშენებლო მა-

ბული და სხვადასხვა ტიპის ნაგებობები, ფართოდ გამოყენებული მრუდხაზოვანი, თალოვან-კამაროვანი კონსტრუქციები. ასეთი კონსტრუქციების განვითარებას ხელი შეუწყო სამშენებლო მასალის — ბეტონის შექმნამ და ფართოდ დანერგვამ. რომაული ბეტონის გაჩენას უკავშირებენ ძვ. წ. III საუკუნეს, როდესაც თლილი ქვის წყობისას, კირის ხსნარში დაიწყეს ჰიდრავლიკური დანამატის, ვულკანური ქვიშის, ე. წ. „პუცოლანის“ გამოყენება. (ტერმინი ადგილის სახელწოდებასთანაა დაკავშირებული, სადაც ეს ვულკანური ქვიშა მოიპოვებოდა). გარდა ბეტონისა, რომაელები მშენებლობაში ფართოდ იყენებდნენ ქვას. ადრეულ პერიოდში მასობრივ მშენებლობაში ალიზი იყო გამოყენებული. შემდეგ მისი ადგილი ცეცხლზე გამომწვარმა ბრტყელმა აგურმა დაიკავა. საერთოდ კი, რომის სამშენებლო ტექნიკისათვის ძლიერ დამახასიათებელია სხვადასხვა სამშენებლო მა-



იდანაც წვიმის წყალი მის ქვეშ, იატაკში მოთავსებულ აუზში — იმპლუვიუმში ჩადიოდა. ასეთი სახლების სახელწოდებაც, ატრიუმულ-პერისტილური, ამ ძირითადი ნაწილების მიხედვით არის წარმოსმობილი. სხვადასხვა დანიშნულების ოთახები: სასადილო, სასტუმრო, საძილე და სხვა, ატრიუმისა და პერისტილის ირგვლივ იყო განლაგებული და იქიდანვე ნათდებოდა. ოთახები შიგნით მოზაიკითა და ფრესკული მოხატულობით იყო შემკული. ეს მაღალმხატვრული ღირსების და ხასხასა ფერების ოთახები გუშინდელი მოხატული გვერნებათ. ბევრი ამ სახლთაგანის ქუჩისპირა ოთახებში სავაჭრო-სახელმწიფო (ტაბერნები) იყო მოთავსებული, სადაც სახლის პატრონის მონები თუ დაქირავებული მოსამსახურეები მუშაობდნენ.


რომაულ ქალაქებში სავაჭრო და საზოგადოებრივი ცენტრები ფორუმები იყო. ფორუმი ქალაქის მთავარი მოედანია, საზოგადოებრივი, საკულტო ნაგებობებითა და ქანდაკებებით დამშვენებული. მას საბერძნეთის ქალაქებში აგორა შეესაბამებოდა. აგორასაგან განსხვავებით რომაულ ფორუმებს დაგეგმარების გრძივი სიმეტრიის ღერძი ახასიათებდა და ეს

იმპერატორების პერიოდის რომში მრავალი ფორუმი იქნა აგებული, მათ რესპუბლიკური პერიოდის ფორუმებისაგან განსხვავებით, მხოლოდ საზეიმო, საზოგადოებრივი დანიშნულება ჰქონდათ. საზოგადოებრივ, სამოქალაქო ფორუმების გვერდით არსებობდა აგრეთვე მხოლოდ საბაზრო-სავაჭრო დანიშნულების ფორუმები. მაგალითად: ღვინით, საქონლით, ბოსტნეულით ვაჭრობისათვის და სხვა. რომის ცნობილი ფორუმებიდან აღსანიშნავია: „ფორუმ რომანუმი“ (რომაული ფორუმი), იულიუსის, ავგუსტუსის, ნერვას, ტრაიანეს ფორუმები და სხვა. მათი ცხოველხატული ნანგრევები დღევანდელი რომის ცენტრში, მოასფალტებული ავტომობილსტრატების გვერდით აღმართული, წარსული არქიტექტურისა და თანამედროვეობის კონტრასტების შთამბეჭდავ სურათს ჰქმნის.

ფორუმების ერთ-ერთი მთავარი ნაგებობა ბაზილიკა გახლდათ. მას სავაჭრო, უფრო მეტად კი სახელმწიფო სასამართლო დანიშნულება ჰქონდა. ბაზილიკათს კუთვნილი ნაგებობაა, რომელიც შიგნით, სვეტების ორი ან ოთხი რივით, სამ, ან ხუთ ნაწილად, ანუ ნავად იყოფოდა. ხშირად ბაზილიკის ნაგებობა მრულხაზოვანი კონსტრუქციით, კამარე-

რომის სახელმწიფოს მონათმფლობელური საზოგადოების სირთულე და წინააღმდეგობები ბევრი თავისებურებით გამოვლინდა. ეს, უპირველესად, გახლდათ ძველი რომისათვის დამახასიათებელი სისხლიანი თამაშობები: გლეხთა ატორების ბრძოლა, მძვინვარე მცველების მიშეება ადამიანებზე. ძველი რომის ცნობილი ლოზუნგი „პური და სანახაობა“ გაბატონებული კლასის — პატრიციების დანერგული იყო და ამ საშუალებით ქალაქის მოსახლეობის ძირითადი მასა (მონების გარდა) მოსყიდული და მათზე დამოკიდებული ჰყავდათ. ამ მიზნით, დედაქალაქში თუ იმპერიის სხვა ქალაქებში სანახაობათა უამრავი ნაგებობა შენდებოდა. მათ შორის ერთ-ერთი გავრცელებული სახეთეატრები გახლდათ. თეატრების არქიტექტურული სტრუქტურა რომაელებმა ბერძნებისაგან გადმოიღეს და შემდგომ განავითარეს. მარტო რომში ქვისაგან აგებული სამი ვეებერთელა თეატრი იყო: პომპეუსის თეატრი 17 ათას მაყურებელს იტევდა, მარცელას თეატრი — 10-14 ათასს და ბალბას თეატრი — 7-8 ათასს. როგორც ბერძნული, ისე რომის თეატრებიც ღია იყო, ოღონდ მათგან ერთი მკვეთრად განსხვავებული, დაგეგმარებითი თავისებურება ჰქონდა. ბერძნულ თეატრებში მაყურებელთა ნაწილი — თეატრონი რელიეფის ბუნებრივ ქანობაზე ეწყობოდა. რომაული თეატრები კი სწორ ადგილზე იგებოდა და თეატრონის ხელოვნური ამღლებისათვის მის ქვეშ კონსტრუქციული ნაწილი კეთდებოდა, სადაც თეატრის საევაკუაციო გზები იყო გათვალისწინებული. თეატრის ფასადი, როგორც ეს მარცელას თეატრში იყო, სვეციფიკური რომაული კომპოზიციური ხერხით არის დამუშავებული; თაღების რიტმი ძირითად მხატვრულ მოტივს ჰქმნის, მათ შორის კი კედლის სიბრტყე ოვორაციული სვეტებით არის დამუშავებული, ეს ე. წ. ორდეროვანი თაღნარია. ბერძნულ არქიტექტურაში კლასიკურ ორდერს კონსტრუქციული დანიშნულება ჰქონდა, ე. ი. ის სვეტისა და კოჭის კონსტრუქციული სისტემის მხატვრული დამუშავების გარკვეულ წესს (ორდერს) წარმოადგენდა. რომში კი, რადგან კონსტრუქციის ძირითადი სახე თალი გახლდათ, ორდერებმა დეკორატიული მნიშვნელობა მიიღო.

სანახაობათა ნაგებობის სპეციფიკურ, რომაულ ტიპს ამფითეატრები წარმოადგენდა, რომლებიც რომისათვის ეგზომ დამახასიათებელი „სისხლიანი თამაშობებისათვის“ იყო განკუთვნილი. სხვა ამფითეატრებს შორის, ან. წ. I საუკუნის



კოლოსეუმი. პირველი სართულის თაღებს შორის უნახავალი ეზი იყო. მხოლოდ და მისაღი სართულის თაღები კი ფანჯარების სახით იყო გააზრებული და უიკანდავები იყავ.

გრძივი მიმართულება ფორუმის მთავარი ნაგებობით, ტაძრით, ან ბაზილიკით თავდებოდა. ფორუმს ირგვლივ სვეტებიანი პორტიკები ფარგლავდა და მას ჩაკეტილ მოედანს ამგვანებდა. გადახურული, გვერდებიდან ღია პორტიკები, სავაჭრო თუ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მიზნით ხალხთა თავშესაფრის ამოცანას შესანიშნავად პასუხობდა, განსაკუთრებით, ცხელი მზისა და უამინდობის შემთხვევაში. ფორუმებზე იყო აგრეთვე სავაჭრო დუქნები — ტაბერნები.

ბით იყო გადახურული... ამ კამარების შედაპირი კი, ე. ი. ბაზილიკის ჭერი, გეომეტრიული არქიტექტურულ-დეკორატიული ფორმებით იყო დამუშავებული. ასე იყო მაგალითად, სახელგანთქმულ მარქსენციუსის (შემდეგ კონსტანტინეს) ბაზილიკაში, რომლის 25 მეტრი სიგანისა და 90 მეტრი სიგრძის ცენტრალური ნაწი 40 მეტრის სიმაღლეზე აზიდულ, ბეტონის ჯვაროვანი კამარებით ყოფილა გადახურული.

დასასრულს რომში აგებული ფლავიუსების ამფითეატრი გამოირჩეოდა, რომელსაც ხალხმა სიღრმის გამო კოლოსეუმი შეარქვა. მისი არენა ელიფსის ფორმისა იყო. არენის ირგვლივ კონცენტრიულად განლაგებული მაყურებელთა რიგები მთელი შენობის გვერდის ელიფსის ფორმას აძლევდა. მისი ზომები გვერდის ღრმობაზე 156×188 მ იყო, სიმაღლე კი 48,5 მ უდრიდა. 50 000 მაყურებელს იტევდა და 4-იარუსიანი იყო. იარუსების ქვეშ კიბეები, დერეფნები თუ გალერეები ისე კარგად, გააზრებულად იყო განლაგებული, რომ მთელი ეს ვეებერთელა შენობა თურმე 5-7 წუთში იცლებოდა. არენის ქვეშ მიწაში სამომსახურებო დანიშნულების სათავსები ყოფილა განლაგებული, გლადიატორების, მწვრთნელებისა თუ მხეცებისათვის, აგრეთვე მოწყობილობის რთული სისტემა, რომლის საშუალებით ქვიშიანი არენა წყლის ვეებერთელა აუზად გადაიქცეოდა ხოლმე, სადაც საზღვაო ბრძოლებს უჩვენებდნენ. კოლოსეუმის ფასადი გვერდის სტრუქტურას შეესატყვისებოდა. ელი-


საკულტო ნაგებობის არქიტექტურა რომაელებმა, როგორც თვით მითოლოგიური რელიგია, ბერძნებისაგან გადმოიღეს, შემდგომ თავისი ეროვნული ელემენტები დაუმატეს და ტაძრის საკუთარი, რომაული სახეები შექმნეს. ტაძრების უმეტესობა ფორუმებზე იდგა და სვეტოვან-კოჭოვანი კონსტრუქციებით აგებულ შენობებს წარმოადგენდა, სადაც სვეტები ან სამი მხრიდან უვლიდა ცელას (მთავარ საკულტო ოთახს), ან პორტიკის სახით მას წინ ეკვროდა. გარდა ამისა, გავრცელებული იყო მრგვალი ფორმის ტაძრები, რომლებიც ოჯახის მფარველ ქალღმერთ ვესტას პატივსაცემად იგებოდა. რომის საკულტო ნაგებობებიდან ყველაზე თვალსაჩინო ძეგლს, რომის საინჟინრო აზრის ბრწყინვალე გამოვლენას, პანთეონი წარმოადგენს. პანთეონი ღმერთების მთელი ჯგუფისათვის განკუთვნილი ტაძრის მნიშვნელობით იყო აგებული. შემდგომ, დროთა განმავლობაში იქ, იტალიელმა ხალხმა ერის საუ-

ნის გუმბათს ჭერში 9-მეტრიანი სვრელი აქვს. ამ გუმბათიდან შემოჭრილი მზის სხივები გუმბათქვეშა დიდებული სივრცის მხატვრულ მეტყველებას კიდევ უფრო აძლიერებს და შთაბეჭედაც ხდის. ამას ხელს უწყობს აგრეთვე შესანიშნავად მოძებნილი მხატვრულ-კონსტრუქციული ხერხები. მაგალითად, გუმბათის შიდა, ზედაპირის ჩაღრმავებული, ოთხკუთხედებით — კესონებით დამუშავება გუმბათის მასის შემსუბუქებას იძლეოდა და ბრინჯაოს ვარდულებით მორთული კესონები ჭერის დეკორაციულ დამუშავებას წარმოადგენდა. აღსანიშნავია ის საინტერესო ფაქტი, რომ პანთეონის გუმბათი, მთელი 18 საუკუნის მანძილზე, უდიდეს მრუდსაზოვანი გადახურვის კონსტრუქციის მაგალითად რჩებოდა. მხოლოდ XX საუკუნეში რკინა-ბეტონის ტექნიკამ შესძლო მოეხსნა ეს თავისებური „რეკორდი“.

რომის არქიტექტურის საკუთარი ქმნილებია, მონუმენტური კომპლექსის რთული სახე, თერმები იყო. თერმები საზოგადოებრივი აბანოებია, რომელშიც, წყლის კულტურასთან ერთად, სპორტული და საკლუბო ფუნქციებიც იყო გაერთიანებული. საერთოდ, რომის სახელმწიფოს ქალაქებში წყლის კულტურა ძალიან მაღალ დონეზე იყო. იმპერატორების პერიოდის რომში მარტო თერთმეტი თერმი და 800 წვრილ-წვრილი აბანო მოქმედებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ უამრავ შადრევანსა და აუზზე.

სანახაობათა ნაგებობების გვერდით, თერმებიც გაბატონებული კლასის მიერ ქალაქის მოსახლეობის დიდი მასის „გულისშთაბრუნებელი“ ამოცანას ემსახურებოდა. რომის თერმებს შორის აღსანიშნავია იმპერატორების — ნერონის, ტიტუს, ტრაიანუს, კარაკალასა და დიოკლეტიანეს თერმები. ჩვენამდე მოაღწია კარაკალას გრანდიოზული თერმების ნანგრევებმა, რომელიც დღესაც გასაოცარ სანახაობას წარმოადგენს. ეს თერმები აგებული იყო ახ. წ. III საუკუნის დასაწყისში და ერთდროულად 1500 მომსვენელს იტევდა. თერმებს 12 ჰა ოთხკუთხა ნაკვეთი ეკავა. იგი ხელოვნურ პლატფორმაზე იყო მოთავსებული. პლატფორმის გრანდიოზული სუბსტრუქციები უამრავ ოთახსა და დერეფნებს შეიცავდა, სადაც მოთავსებული იყო წყლის გამათბობელ-გამანაწილებელ მოწყობილობათა მთელი სისტემა. თერმების ტერიტორიაზე ბაღი იყო გადაჭიმული, ხეივანებითა და ყვავილნარებით, იქ „საკლუბო“ ნაწილი იყო გამოტანილი. იქვე იყო ბიბლიოთეკების დარბაზები, ფანჩატურები აუზებითა და შადრევანებით,

პანთეონის ზარილი.



ფსური ფორმის მრუდსაზოვანი ზედაპირი ორდეროვანი თაღნარით იყო დამუშავებული და ოთხიარუსიან დაყოფას გვაძლევდა, სადაც იარუსებს სხვადასხვა ორდერის სვეტნარი განასხვავებდა ერთმანეთისაგან. რომის არქიტექტურის ეს გიგანტური ნაგებობა სხვადასხვა სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების გონივრული გამოყენების და ამასთანავე დანიშნულების შესანიშნავი გაგებისა და გადაწყვეტის ბრწყინვალე მაგალითია. დღეს, საკმაოდ დაზიანებული კოლოსეუმი ქალაქის ცენტრშია, ფორუმების გვერდით, და განსაკუთრებით დამით ხელოვნური შუქით განათებული, გრანდიოზული სანახავია.

კეთესო შვილები დაააფლავა. პანთეონის გვერდით მარტივია. მისი ძირითადი მრგვალი ნაწილი — როტონდა 43,2 მეტრი დიამეტრის ბეტონის გუმბათითაა გადახურული. მის წინ კი კორინთული ორდერის რვა სვეტიანი კარიბჭეა. გასაოცარი საინჟინრო მიდგომითაა პანთეონში სხვადასხვა სახის ბეტონის გამოყენებული. 7,3 მეტრი სისპვერტინის ღორღის გამოყენებით, შემდეგ კედლებში ბეტონის თანდათანობით შემსუბუქება ხდება (ტრავერტინის ტუფისა და აგურის ღორღი ცვლის) და გუმბათის ზედა ნაწილები კი მსუბუქი პემზობეტონისაგანაა აგებული. პანთეო-



პარაკლას თარხანის მთავარი  
ვასტიკოსის რეკონსტრუქცია.

ე. წ. ნიმფები — ბუნების წიაღში მოწყობილი სამკითხველო, სასაუბრო კუთხეები. აქვე იყო პატარა სტადიონიც. თვით აბანოების უზარმაზარ შენობას 2,5 ჰექტარი ფართობი ეკავა და უამრავ ნაირფეროვანი მოხაზულობისა და მორთულობის ოთახებს შეიცავდა. მათ შორის მთავარი იყო ცხელი წყლის აუზი, 35 მეტრი დიამეტრის გუმბათით გადახურული როტონდა. გარდა ამისა, თერმებში იყო ცივი და თბილი წყლის აუზების დარბაზებიც და მათ ახლოს უამრავი გასახდელი, მოსაცდელი თუ დასასვენებელი ოთახი. ამავე შენობაში იყო ღია პერისტილური ეზოები, მოედნები ფიზიკური კულტურისათვის. ეს ე. წ. პალესტრებია. ყველა ამ სხვადასხვა დანიშნულების ოთახებისაკენ მიმავალ გზებს აერთიანებდა და ანაწილებდა მთავარი ვესტიბული, რომლის დიდ სიმაღლეზე აზიდული, გადახურვის ჯგეროვანი კამარების კონსტრუქციები, რომის საინჟინრო ხელოვნების ბრწყინვალე მაგალითია. პაერთა და სინათლით სავსე მთავარი ვესტიბული მდიდარი მორთულობით ბრწყინავდა. ქანდაკებების ჯგუფები, ლარნაკები და შადრევნები ინტერიერის მნიშვნელოვან საკვანძო ადგილებში იყო განლაგებული.

ლი. თერმების გარეთა არქიტექტურა კი შედარებით სადა და უბრალო შესრულებით ხასიათდებოდა. თვალისმომჭრელი, პომპეური იერისა და გრანდიოზული მასშტაბის მიუხედავად, თერმების არქიტექტურა დაგეგმარების ეკონომიკრობითა და ფუნქციური გააზრებით გამოირჩეოდა.

რომის არქიტექტურამ მეორე რიგის ნაგებობათა ტიპებიც შექმნა. ეს განსაკუთრებით უმეფო თაღები და სვეტები. ნაგებობათა ამ ტიპებმა განსაკუთრებული ფართო გავრცელება ჰპოვა შემდგომ, XVIII-XIX საუკუნეების ევროპის არქიტექტურაში. რომში ეს ნაგებობები იგებოდა ღირსშესანიშნავი ამბის უკვდავსაყოფად, უფრო ხშირად კი იმპერატორების საომარი ამბების სატრიუმფოდ. ასეთი ნაგებობებიდან ჩვენამდე მოაღწია იმპერატორების ტიტეს, ტრაიანეს, ადრიანეს, სეპტიმიუს სევერისა და კონსტანტინეს თაღებმა, ტრაიანესა და ანტონინების სატრიუმფო სვეტებმა. სატრიუმფო თაღები, ერთი ან სამმალიანი ნაგებობებია, რომლებსაც შიგნით სათავსები არ გააჩნიათ. მთელი ყურადღება გარეთა არქიტექტურაზეა გადატანილი. თაღის ზედა ნაწილში მემორიალური წარწერაა. მისი თაღებიდან ტიტეს სატრიუმფო თაღი გამოირჩევა, იგი იუდეასთან ომში გამარჯვების სადიდებლად იყო


აგებული. თაღის სიმაღლე 15,4 მეტრს უდრის და ნაწილების ჰარმონიული შესაბამისობითა და დეკორაციული დამუშავების ზომიერებით ხასიათდება. თაღის ქვეშ გამწვანების ყურადღებას იპყრობს რეალისტურად შესრულებული რელიეფები — იმპერატორ ტიტეს სატრიუმფო შემოსვლა რომში, ტყვეებითა და ნადავლით.

ასევე საომარი გამარჯვების სადიდებლად აგებული ძველი იყო ტრაიანეს სვეტი, რომელიც მისივე სახელობის ფორუმზე იდგა. 38 მეტრი სიმაღლის, ღრუტანიანი სვეტის ტანი რელიეფების განუწყვეტელი, სველი ზოლით არის დაფარული. სვეტის დიამეტრი 3,2 მეტრს უდრის და შიგ მოთავსებული სპირალური კიბით სვეტის წვერზე შეიძლება ასვლა. აღსანიშნავია, რომ სვეტის რელიეფებში გამოსახულია ხიდი დუნაიზე, სვეტისა და მთელი ფორუმის ავტორის აპოლოდორ დამასკოელის მიერ აშენებული. (ის, როგორც სამხედრო ინჟინერი თან ახლდა ტრაიანეს დუნაის გაღმა დაკებთან ლაშქრობაში).


საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის საუკეთესო ტრადიციები რომაელებმა ეტრუსკებისაგან გადმოიღეს და ისეთ მალაქ დონეზე აიყვანეს, რომ ზოგიერთი მაშინდელი ნაგებობა დღესაც ემსახურება ხალხს. მაგალითად, ალბანიის ტბიდან გამოშავალი 1,8 მეტრი სიმაღლისა და 1200 მეტრი სიგრძის გვირაბი დღესაც მოქმედებს. დღევანდელ დიდ რომს ემსახურება 2400 წლის წინათ აგებული აპიუსის გზა — „ვია აპია ანტიკა“. აპიუსის გზა ხრეშისა და ბეტონის ფენებს ზემოთ ტუფის კვადრებით იყო მოფენილი.


საინჟინრო ნაგებობათაგან ყველაზე დიდ ყურადღებას აკვედუკები იმსახურებს. აკვედუკები წყლის გადამყვანი ნაგებობებია, რომელთა საშუალებით წყალი კილომეტრების მანძილზე მოდიოდა ქალაქებში. აკვედუკები ერთ, ორ, ან სამიარუსიან თაღოვან, მიწისზედა კონსტრუქციებს წარმოადგენს, რომელთა თავზე წყლის მილია მოთავსებული. ერთ-ერთი ასეთი უძველესი ნაგებობაა, ძვ. წ. II საუკუნეში აშენებული, 91 კმ სიგრძის, მარციუსის აკვედუკი. ულამაზესი კი — სეგოვიის (ესპანეთში) და ე. წ. „გარდის ხიდი“ (სამხრეთ საფრანგეთში).

რომის საინჟინრო ნაგებობების სიამაყე მისი ხიდეებია. I საუკუნეში აგებული ავგუსტუსის ხიდი რომინში დღესაც მოქმედებს. ახ. წ. II საუკუნეში აგებული ხიდი „ალკანტარა“ (ესპანეთში) არა მარტო ე-



ტრაიანეს სვეტი.





„პარდის ხილი“ — ახ. წ. II საუკუნეში აგებული აკვადუკი, რომლის კვიდა თაღნარს XVIII საუკუნეში ხრდი მიუხანავს.

სახურკა ადამიანებს, აგრეთვე ისევ ხილავს მათ თავისი ნატიფი და ლაკონური პროპორციებით, საინჟინრო რაციონალიზმის და არქიტექტურული ფორმების შესანიშნავი შერწყმით. რომის ქალაქთმშენებლობისათვის დამახასიათებელი იყო რეგულარული სწორკუთხოვანი დაგეგმარებითი სისტემის გამოყენება. რომაელები, ხშირად, ქალაქების განაშენიანებისათვის იღებ-

ლურ სწორ ზედაპირს ამზადებდნენ, განსხვავებით ბერძენისაგან, რომლებიც თავიანთ ქალაქებს ბუნებას უხამებდნენ. რომის ქალაქთმშენებლობაზე დიდი გავლენა იქონია სამხედრო ბანაკების გეგმებმა, რომლებიც ხშირად კვადრატს ან ოთხკუთხედს წარმოადგენდა. მათ მთავარ ღერძებზე ორი მთავარი ქუჩა გადიოდა: ჩრდილო-სამხრეთის, ე.წ. „კარდო“ და აღმოსავლეთ-დასავლეთ-



თის — „დეკუმანუს მაქსიმუსი“. ამ ქუჩების გადაკვეთაზე კი მთავარი მოედანი — ფორუმი მდებარეობდა. ამიტომ გასაკვირი არაა მათი ასეთი მსგავსება რომელიმე ქალაქთან. საყოველთაოდ ცნობილი ისეთი დიდი ქალაქები, როგორცაა: ლონდონი, პარიზი, ვენა, ლიონი და სხვები, რომელთა სამხედრო ბანაკებიდან წარმოქმნილან. ასეთი, სამხედრო ბანაკებიდან წარმოქმნილი ქალაქების ძველებია. განათხარი ქალაქები: ტიმტალი (ჩრდ. აფრიკა), ლამბეზისი (ჩრდ. აფრიკა), აოსტა და სხვ. გარდა რეგულარული სისტემების მქონე ქალაქებისა, მთელ რიგ დიდ ქალაქებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც გადასერილ რელიეფზე აღმოცენდნენ, თავისუფლად განვითარებული, ცხოველხატული კომპოზიციური გეგმები გააჩნდათ. ქალაქების კეთილმოწყობა ძალიან მაღალ დონეზე იყო. ქუჩები სვეტნარებითა და ქანდაკებებით იყო მორთული. ღია ტროტუარების ნაცვლად სვეტებიან პორტიკებს ცხელი ჰავის პირობებში საჩრდილობელის როლიც ჰქონდა. ასეთი ქალაქებიდან აღსანიშნავია, სილამაზით სახელგანთქმული ქალაქი პალმირა, რომლის 11 მეტრი სიგანის მთავარი ქუჩა ასობით სვეტებით იყო დამშვენებული.

რომის არქიტექტურული მემკვიდრეობა მარტო ამწენებული ნაგებობებით როდი ამოიწურება. რომმა არქიტექტურაზე თეორიული ნაშრომიც დაგვიტოვა. ის ყველაზე უძველესია, რომელმაც კი ჩვენამდე მოაღწია. ეს არის „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“, I საუკუნეში მცხოვრებ არქიტექტორისა და იულიუსის ჯარების სამხედრო ინჟინრის ვიტრუვიუსის მიერ დაწერილი. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ის მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც შეიტანა ვიტრუვიუსის ტრაქტატმა მსოფლიო არქიტექტურის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში.

ამრიგად, ძველი რომის არქიტექტურამ დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მას ვერ უტოლდება ძველი სამყაროს ვერცერთი არქიტექტურა გავრცელების ტერიტორიის უზარმაზარი მასშტაბით, საინჟინრო ხელოვნების უბადლო დონით, ნაგებობათა ტიპების სირთულით, მრავალფეროვნებითა და მათი კომპოზიციური ფორმების სიმდიდრით.

ქალაქი პალმირა. მთავარი ქუჩა სვეტებითა და საბრინჯოთა თაღით იყო შეკაშული.


შოთა ქავთაძე

# სიღრმე

## კითხვანი

### ლოქოსი

მ ო თ ხ რ ბ ა



წვრილი თევზი ბევრი დამიჭერია, მაგრამ ლოქოზე თევზაობა ოცნებად მქონდა გადაქცეული. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, კაცებსაც დიდ ვაჟკაცობად ეთვლებოდათ მისი დაჭერა.

ერთ დღეს, ყველაფერი გავამზადე ლოქოს დასაჭერად.

დილით სკოლაში წასასვლელად ამხანაგებმა გამომიარეს. დაგეწევით-მეთქი, ვუთხარი და ჩამოვრჩი. ჯიბეში გრძელ თოკზე გამონასკვული ანკესი და კოლოფით ბაყაყი მელა.

ბონდთან შევჩერდი. მისი ბაგირები ქარაფზე ამოსულ ვეებერთელა ხურმისა და ცაცხვის ხეებზე იყო გამაგრებული. ხეებს მძლავრად გაედგა ფესვები, მაგრამ ნიადაგში ყველას ვერ ჩაეღწია და ქარაფის მთელ სიმაღლეზე გველებივით იკლაკნებოდა.

ფრთხილად ჩავყევი ფესვებს. მათს ამონაყარებზე ხელ-ფეხს ვიმაგრებდი. ასე ჩავაღწიე მდინარის ნაპირამდე. იქ უზარმაზარი ლოდები იყო ჩახერგილი. ერთი მათგანი სოლივით შეჭრილიყო სიღრმეში. მას მდინარე მთელი ძალით ეჯახებოდა, გვერდზე უკვიდა და ქვედა მხარეზე ქაფმორეულ მორევად ტრიალებდა.

გამოცდილი მებადურვით წყალი დავზვერე:

„არ შეიძლება მორევში ღლავი არ იყოს. და თუ არის, მხოლოდ აქ იქნება“. — ვთქვი ჩემთვის და მდინარეში შეჭრილი ლოდის ძირში ჩამოვჯექი. ჯიბიდან თოკი და კოლოფი ამოვიღე. ანკესზე ბაყაყი წამოვაგე.

ნაპირიდან ხუთიოდე მეტრზე, შუა მორევში ვისროლე ანკესი. თოკის ბოლო ზედ მდინარის ნაპირას ამოსულ თხმელის ტოტებს გამოვავი, ტოტი წყალმდე დაეხარე და ქვა დავადე.

მდინარის ნაპირი შამბიან-მაყვლიანი იყო. ბარდებში ჭინჭრაქასავით გავქვერი და გზაზე გავედი.

„ეჰ, ნეტავ ღლავი დავიჭირო, კარის მეზობლებს თევზით გავუმასპინძლები და მთელ სოფელს ავაღაპარაკებ. დაე, ყველამ გაიგოს რა ბიჭია კაკო...“ — ვფიქრობდი სკოლისაკენ მიმავალი.

გაკვეთილებზე მასწავლებლებს უგულისყუროდ ვუსმენდი. სულ ლოქოზე ვფიქრობდი და გულისფანცქალით ველოდი უქანასკნელ ზარს. აწყრილდა თუ არა, ყველას გამოვასწარი კლასიდან. ამხანაგებს ვერ გამოვყვებოდი, ანკესი უნდა მენახა. მოდი და, გამცდარიყო, სიცილს დამყარდნენ, სირცხვილს ვჭამდი. თუ ლოქო იქნებოდა მოკიდებული, ისინი დაჭერაში კი მომეშველე-

# ქილა ზინკში

შინა ჩხვიანი

ყვაილები,  
ყვაილები,  
ყვაილები  
ათასფერად  
იწონებენ თავს...  
მოძუნია მინდორს  
გუნდი ყმაწვილების  
და ნათელ დღეს  
სიკისკასით რთავს.  
ცელქი სიო გადაკონის,  
შეატოკებს  
მწვანე ბალახს,

გადავარცხნის თმას;  
მზე თბილ ღიმილს  
ფიჭვის ტოტებს შეატოვებს  
და ჩაგვიკრავს  
მოციმციმე თვალს.

— ერთი, ორი!  
ერთი ორი!—ღიღინებენ  
სმაკლურტულა  
ჩიტები და ტყე,  
სიხარულით  
ელიმებათ ღიღილოებს,

სასიმღეროდ  
იღერებენ ყელს.

— ერთი, ორი,  
ერთი, ორი!—  
ვაჟკაცდება  
ჩვენი ხალხის  
საიმედო ცვლა,  
მათს თვალეში  
ანთებულა აღტაცება  
და ღიმილით  
გაბადრულა ცა!

ბოდნენ, მაგრამ არ მინდოდა სხვებსაც დაედოთ წილი ჩემს ვაჟკაცობაში.

ბილიჯე შევლივით დავეშვი. ბოდნის თავში რომ მივედი, სულს ძლივს ვითქვამდი, მაგრამ არც შემისვენია, სრიალით ჩავეყვი ქარაფზე დაქსელილ ფესვებს.

ანკესთან რომ მივედი, სახტად დავრჩი — თხმელის ტოტს აეშვა და თოკი დაჭიმულიყო. თრთოლვამ ამიტანა, გადავდგი ნაბიჯი და ცალი ფეხი წყლიდან ამოშვერილ ლოდს მივაბჯინე. აქანკალეზული ხელით თოკი ფრთხილად მოვწიე. ვიგრძენი, რაღაც მძიმედ მომყვებოდა. თანდათან ავღელდი, მთელი სხეული მითრთოდა.

მაღე ლოქოს დიდი, შავი თავი დავეუნახე, მერე მთლიანად გამოჩნდა, ბოლოს ლაღად იქნევდა და ნავეით მოცურავდა.

ნუთუ მე უნდა შევბოდი ამოდენა თევზს?!

ლოქო შეჩვეული ცხვარივით მომყვა და ისე მოცურდა ჩემამდე, არც კი განძრეულა. ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, როგორ ამომეყვანა. მორევს ნაპირი არ ჰქონდა, რომ თევზს მიგსწლომოდოდა და მკლავები შემომეხვია; ამოთრევა არ შეიძლებოდა, ძალიან დიდი იყო და ანკესს მოსძვრებოდა. აღარ ვიცოდი რა მექნა. ვღელავდი. მუხლები მიკანკალეზდა. ლოქო კი ჩემს ფეხებთან დანალაობდა... რა სიოცარი სილამაზე იყო!

გადავწყვიტე ლაყუჩში მაჯა ამომედო და ისე ამომეთრია. ფრთხილად დავიხარე, მარჯვენა ხელი ლაყუჩში ამოვუდე, მაჯაზე წამოვიცივი და მარცხენა ხელით ანკესიდან მოვხსენი, ის იყო ამოვწიე, რომ მთელის ძალით შეხტა, ბოლო მოიქნია, წვივზე გადამკრა, სველ ლოდზე მიბჯენილი

ფეხი ამიცურდა და ლოქოსთან ერთად მორევში ჩავეყურყუმაღავდი.


კურვა კარგი ვიცი, მაგრამ თევზი არ მემორჩილებოდა. ხან ფსკერამდე ვიძირებოდი, ხან ზედაპირზე ვტივტივებოდი. არ იქნა და ვერ მოვიცილე. ხელი მის ხაოიან პირში მქონდა გაჩრილი და დამძრობას ვერ ვახერხებდი. ბოლოს ისე დამქანცა აბეზარმა მხეცმა, რომ მის ნებას დავყევი, საითაც სურდა მიმაცურებდა.

უჰ, რა ღონიერი ყოფილა ლოქო თავის სამეფოში! როგორც იქნა, უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და ხელი გავითავისუფლე.

ლოქომ ლაღად გაინავარდა, მაგრამ მე ისე მოვიქანცე, რომ მკლავებს ვეღარ ვანძრევი. წყალზე დაწოლაც ვერ მოვახერხე, ტანსაცმელი მბორკავდა. ცუდად მქონდა საქმე, ნაპირზე გასვლის იმედი დამეკარგა. ვგრძნობდი ვიძირებოდი. ამ მძიმე წუთებში შევნიშნე, ბიჭები მოცურავდნენ ჩემსკენ. იმედი მომეცა, მკლავებში ძალა მომემატა. წყალს კვლავ შევეჭიდე. ამასობაში ვახტანგი, ვანო, ლუტუ და ალექსანდრე გვერდით ამომიდგნენ, ტანსაცმელში ხელი ჩამავლეს და ცურვით ნაპირზე გამიყვანეს.

— შეგირცხვეს თავი! ასეთ საქმეზე მარტო როგორ წამოხველ?

— კიდევ კარგი, თვალი შეგასწართ! — ბიჭებმა საყვედურებით ამავსეს. მე თავდახრილი ვიდექი და თვალს ვერ ვუსწორებდი. წყალი წურწურით მდიოდა და გახურებულ მიწას ასველებდა.





# კატარა სპილო

**რელიარ  
კიკლინი**

**მხატვარი  
ზურაბ ფოსხიშვილი**

ეს ახლაა, ჩემო პატარავ, რომ სპილოს ხორტუმი აქვს, თორემ იყო დრო, როცა მას ხორტუმის მსგავსი არაფერი მოეპოვებოდა, მხოლოდ ერთი პაჭუა, ჩალურჯებული დინგი ჰქონდა. ამ ცხვირს, როგორც მოეპოვებოდა ისე ამოძრავებდა. მაგრამ, გამოყენებით კი, — ვერ იყენებდა.

იმ შორეულ, უხსოვარ დროს ერთი ასეთი უხორტუმო პატარა სპილო ცხოვრობდა, მოუსვენარი და მეტისმეტი ცნობისმოყვარე. ეკითხებოდა თუ არ ეკითხებოდა, ყველაფერში ცხვირი უნდა ჩაეყო. ეს პატარა სპილო აფრიკაში ცხოვრობდა. მთელ აფრიკას თავი ჰქონდა მობეზრებული მისი ასეთი აზირობული ცნობისმოყვარეობით.

პატარა სპილო ჯერ აყლავდა დეიდა სირაქლემას ჩააცვივებოდა, მითხარი, რატომ ამოგლის კუდზე სწორედ ასეთი და არა სხვაგვარი ბუმბულიო? აყლავდა დეიდა სირაქლემა კი პასუხის მაგივრად ერთი გემოზე ჩაწიხლავდა ხოლმე.

პატარა სპილო ახლა ახმახ ძია ჟირაფს აედევნებოდა: რად გაქვს ჭრელი ტყავიო? პასუხად ახმახი ძია ჟირაფიც თავის კაბიტა ჩლიქებს უთავაზებდა ხოლმე. მაგრამ ეს ცემა-ტყევა ოდანავადაც არ ანელებდა პატარა სპილოს ცნობისმოყვარეობას. ნაცემ-ნაბეგვი სქელუა დეიდა ბეჭემოთს ეწვეოდა: რატომ გაქვს ასეთი წითელი თვალეზიო? სქელუა დეიდა ბეჭემოთიც ერთი კარვად დატორავდა და პანდურს ამოჰკრავდა ხოლმე. პატარა სპილო მაინც არ იშლიდა თავისას. ბანჯგვლიან ძია მაიმუნ პავიანთან მივიდოდა და ვინ იცის მერამდენედ ეკითხებოდა: რატომ არის ნესვი ასეთი გემრიელიო? ძია მაიმუნი პავიანი პასუხს არ დაუყოვნებდა და თავის ბანჯგვლიან თათს ერთი მაგრად ჩასცებდა ხოლმე თავში.

მაგრამ, ნურას უკაცრავად, პატარა სპილოს ცნობისმოყვარეობა სულ უფრო და უფრო უცხოველდებოდა; რასაც თვალს და ყურს მოჰკრავდა, ან რამეზე სუნს აიღებდა, მაშინვე

უნდა გამოეკითხა ვინ არისო, რა არისო, ხოლო დეიდები და ბიძები, პასუხის მაგივრად, სულ სცემდნენ და სტყუებდნენ. საქმეში ხართ? პატარა სპილო, ვითომც არაფერიო, თავისას არ იშლიდა.

ერთ მშვენიერ დილას, გაზაფხულის ბუნობის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ამ აბეზარმა სპილომ ისეთი რამ იკითხა, რომლის მსგავსი მანამდე არავის უკითხავს:

— რას მიირთმევს ნიანგი სადილად?

— ჩუმად, შე სულელო! — აღმოფოთდა მთელი ნათესაობა. დაესივნენ და ისე უმოწყალოდ სცემეს, კინალამ სული არ გააფრთხობინეს; როცა სული მოითქვა, პატარა სპილო ჩერინჩხის ბუჩქთან მილასლასდა და ჩიტს — კოლოკოლოს შესჩივლა:

— მამაჩემი მცემს, დედაც მცემს, არც დეიდები მაკლებენ, ბიძებმა ხომ სულ ტყავი გამაძრეს, რათ ხარ ასეთი მეტისმეტი ცნობისმოყვარეო. მე კი, რა ვქნა, მაინც გული არ მიძლებს, რომ არ ვიკითხო. ძალიან მინდა ვიცოდე, რას მიირთმევს ნიანგი სადილად.

ეკლიან ბუჩქზე წამოსკუპულმა ჩიტმა კოლოკოლომ წრიბინით მიუგო:

— დაუყვი დიდი მდინარის ლიმპოპოს მწვანეზე მწვანე, წუმბედქცეულ, დამყაყებულ-დაჭაობებულ ნაპირებს, სადაც ციების მტერი, შხამიანი ევკალიპტი ხარობს, და ყველაფერს გაიგებ.

მეორე დილას, როცა ბუნობა უკვე დამთავრებული იყო, ამ ცნობისმოყვარე სპილომ ასი საპალნე ბანანი, ასი საპალნე შაქრის ჭარხალი, ჩვიდმეტი საპალნე მწვანე ჯიშის ხრეშუნა ნესვი ზურგზე მოიკიდა, დაემშვიდობა თავის ძვირფას ნათესავეებს და გზას გაუდგა.

— მე მივიდივარ, — უთხრა მან მისიანებს გამგზავრების წინ. — მდინარე ლიმპოპოს მწვანეზე მწვანე, წუმბედქცეულ, დამყაყებულ-დაჭაობებულ ნაპირებისკენ; იქ ხარობს ციების მტერი ხე ევკალიპტი და იმისაგან გავიგებ, რას მიირთმევს ნიანგი სადილად.

ნათესავეებმა არც ამჯერად უღალატეს თავიანთ ჩვეულებას, აქაო და გზა უნდა დავილოცოთო, თითო წიხლი ყველამ შეაწია, თუმცა პატარა სპილო განსაკუთრებული თავაზიანობით შესთხოვდა, — ნუ შეწუხდებითო.

და აი, პატარა სპილო გზას გაუდგა. მართალია, ნათესავეებმა გვერდები აუხურეს, მაგრამ ეს არც ვაპ-

კვირებია, მიჩვეული იყო. მიდიოდა და თან ნესვს შეეჭეოდა, წარმარა ლუკმა უვარდებოდა პირიდან, მაგრამ, თავისი დინგის პატრონი, მიწიდან უკან ვეღარ იღებდა.

პატარა სპილო თავდაპირველად ქალაქ გრეპემს მიადგა, იქიდან კომბერლეოში გადაინაცვლა, კომბერლეოდან ქამას მიწა-წყალს ეწვია, სადაც ნესვით გაუმასპინძლდნენ. ბოლოს, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მწვანეზე მწვანე, წუმბეღქეულ, დამყაყებულ — მდინარე ლიმპოპოს მიადგა. მის ნაპირზე, მართლაც ის ხეები იდგა, ჩიტმა კოლოკოლომ რომ აუწერა. მინდა იცოდე, ჩემო პატარავ, რომ იმ დღემდე და იმ საათამდე, ცნობისმოყვარე სპილოს თვალით არ ენახა ნიანგი და წარმოდგენაც არა ჰქონდა, როგორი იყო. პოდა, აბა, წარმოიდგინე, როდენ დიდი ცნობისმოყვარეობით იქნებოდა შეაყრობილი. პირველად მან, კბოდეს შემოხვეული ჭრელი პითონი — კლდის გველი შენიშნა.

— უკაცრავად, გეთაყვა, — თავაზიანად მიმართა სპილომ კლდის გველს, — ხომ არ შეგხედრიათ აქ, ამ უღრან მიდამოებში ნიანგი? იმის ძებნას გადავყვევი, თავგზა ამებნა.

— რა? ნიანგი ხომ არ შეგხვედრიათ? — ჩაისისინა პითონმა, ჭრელმა კლდის გველმა. — რაებს მიბედავ? შენ, ძმობილო, გეტყობა, საქმე გამოგლევია!

— ბოდიშს ვიხდი, გეთაყვა, — განაგრძო პატარა სპილომ, — ხომ არ მომახსენებდით, რას მიირთმევს ნიანგი სადილად?

ასეთი თავხედობა უკვე ვეღარ აიტანა ჭრელმა პითონმა, კბოდეს სწრაფად შემოეხსნა და უზარმაზარი, ხორკლიანი კუდი სთხლინა.

— პოი, საკვირველებავ, — აღმოსხდა პატარა სპილოს, — ის არ მყოფოდა, მამა რომ მცემდა, დედა რომ მცემდა, ბიძები რომ მცემდნენ, დეიდები რომ სულ მებგვავდნენ ჩემი ახირებული ცნობისმოყვარეობის გამო? აქაც, როგორც ვხედავ, თავიდან იწყება ყველაფერი. — იგი მეტისმეტი თავაზიანობით დაემშვიდობა ჭრელ პითონს — კლდის გველს, შეეშველა კიდევ, რომ ისევ შემოხვეოდა კბოდეს და გზა განაგრძო. მართალია, პითონმა კარგა ლაზათიანად შეახურა, მაგრამ არაფრად ჩააგლო, მიჩვეული იყო ამისთანებს, გზად მიმავალი გემრიელად ახრამუნებდა ნესვს. წამდაუწუმ ლუკმა უვარდებოდა პირიდან, მაგრამ აბა თავისი

დინგის პატრონი, უკან როგორღა აიღებდა? ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ მორს წააწყდა, რომელიც მწვანეზე მწვანე, წუმბეღქეულ, დამყაყებულ-დაჭაობებულ მდინარე ლიმპოპოს ნაპირზე ეგდო. მაგრამ, ჩემო საყვარელო პატარავ, ის, რაც მორი ეგონა სპილოს, თურმე ნიანგი არა ყოფილა! ნიანგმა სპილოს თვალი ჩაუკრა; აი, ასე, ჩვენ რომ ვიცით.

— მომიტევეთ, გეთაყვა, — მიმართა მას პატარა სპილომ განსაკუთრებული თავაზიანობით და მორიდებით, — ხომ არ გქონიათ ბედნიერება, ამ მიდამოებში, სადმე ახლომახლო ნიანგი ხომ არ შეგხვედრიათ?

ნიანგმა ახლა მეორე თვალიც ჩაუკრა სპილოს და კუდი ნახევარზე ამოსწია წყლიდან. სპილომ, არ დამარტყასო, ჩვეული თავაზიანობით უკან დაიხია.

— რა განზე იწვევი, პაწიავ? — უთხრა ნიანგმა, — რატომ კითხულობ, რაში გკირდება?

— ბოდიშს ვიხდი, გეთაყვა, — მიმართა სპილომ განსაკუთრებული თავაზიანობით, — მამაჩემი მცემდა, დედაჩემი მცემდა, ჩემი დეიდები: აყლაყულდა სირაქლემა და სქელუა ბეჭემოთი მცემდნენ, არც ბიძები: ძია ჟირაფი და ბანგველიანი ძია პავიანი მაკლებდნენ, ახლა ჭრელმა პითონმა — კლდის გველმაც თავისი ხორკლიანი კუდით ზურგი ამიწვა. მეტის ატანა აღარ შემიძლია. იქნებ

კეთილი ინებოთ და მიშველოთ რა-მე!

— მოდი ახლოს, ჩემო პაწიავ, — დაუყვავა ნიანგმა. — სწორედ მე ვარ ის ნიანგი, ვისაც შენ ასე დაეძებ. — ნიანგმა ცრემლები გადმოყარა თავის ნათქვამის დასადასტურებლად. პატარა სპილო სიხარულით ცას ეწვია, სუნთქვა შეეკრა, დაიჩოქა და ალტაცებით შესძახა:

— თქვენ სწორედ ის ბრძანდებით, ვისაც მე დღე და ღამ დავეძებ? გვედრებით, ჩქარა მითხარით, გეთაყვა, რას მიირთმევთ სადილად?

— ახლოს მოიწი, ჩემო პაწიავ, და მაგ შენს პაწაწინტელა ყურში ჩაგჩურჩულე, რასაც მივირთმევ.

პატარა სპილომ ნიანგის ლოჯებიან, ვეება ხახასთან სულ ახლოს მიიტანა თავი. ნიანგმაც არ დააყოვნა, სწვდა იმ პაჭუა დინგში, რომე-



ლიც იმ წუთამდე გაბერილი ბუშ-  
ტივით ეჯდა სახეზე.

— მე მგონი, — გამოსცრა ნიანგ-  
მა კბილებიდან, — დღეს სადილად  
ჩემი პირველი თავი კერძი სპილოს  
ჩვილი ხორცი იქნება.

ტივილებისაგან გამწარებულმა  
სპილომ ესლა ჩაიდუღუნა: „გამიშ-  
ვით თორემ ძალიან მეტკინა“. ამის  
შემხედვარე ჭრელი პითონი —  
კლდის გველი კბოღეს შემოეხსნა,  
მდინარის ნაპირზე ჩასრიალდა და  
სპილოს შეუუსისინა:

— შენ, ჩემო ძმობილო, რაც ძა-  
ლი და ღონე გაქვს, უკან დაიწი, თო-  
რემ ეს ტყავის ტომარა (ასე მოიხსე-  
ნია მან ნიანგი) თვალის დახამხამე-  
ბაში ამ გამჭვირვალე წყლის ჩქერ-  
ში გაბანავებს. იცოდე, ბიჭუნო, ჭრე-  
ლი პითონი — კლდის გველი, ასეთი  
პირში მთქმელი და შეუპოვარია.

პატარა სპილო უკანა ფეხებზე  
ჩაჯდა და ცდილობდა როგორმე თა-  
ვი დაეხსნა ნიანგის ხახისაგან. ეწე-  
ოდა და ეწეოდა პაჭუა დინგს, ეწეო-  
და და ეწეოდა. ნიანგი კი ფსკერი-  
საკენ მიათრევდა და თან კუდს ატ-  
ყლაშუნებდა. წყალი აქაფდა. ამდენ  
გაწამაწიაში სპილოს დინგი გაიწე-  
ლა, გაიწელა... საწყალმა უკანასკნე-  
ლი ღონე მოიკრიბა, ოთხივე ფეხი  
გაჩაჩხა და გამოსწია თავის ცხვირ-  
ი. უტეებ, პატარა სპილომ იგრძნო,  
რომ მუხლებში ძალა გამოეცალა და  
გამწარებულმა იყვირა: „კმარა! მო-  
მეშვით! მეტი აღარ შემიძლია!“

საცოდავს პაჭუა დინგი ხუთი არ-  
შინი გახდომოდა! პატარა სპილოს  
ნათქვამზე ჭრელი პითონი — კლდის  
გველი ისევ მდინარის ნაპირზე ჩა-  
მოსრიალდა, სპილოს უკანა ფეხებზე  
შემოეხვია და უთხრა:

— გამოუცდელიო და ქარაფშუტა  
მოგზაურო! ახლა კი დროა მოვემზა-  
დოთ უკანასკნელი დარტყმისათვის,  
თორემ ეს სამხედრო ჯავშნოსანი გე-  
მი — ასე მოიხსენია მან ნიანგი —  
უთუოდ ბოლოს მოგიღებს.

— ჩემო პატარავ, ჭრელი პითონი —  
კლდის გველი ასე სამართლიანია და  
შეუპოვარი ყველას მიმართ. — უთ-  
ხრა და შეეშველა პატარა სპილოს.  
აქეთ ესენი ეწევიან, იქით ნიანგი.  
ბოლოს ჭრელმა პითონმა და სპი-  
ლომ სძლიეს ნიანგს. გამოსტაცეს  
სპილოს ცხვირი. ნიანგი უკუიქცა  
და წყალში ისეთი ტყავანი მოადი-  
ნა, რომ ხმა მთელ ლიმპოპოს ნაპირ-



ზე გაისმა. უკეთესი დღე არც პატა-  
რა სპილოს დასდგომოდა. გამწარე-  
ბული მოწყვეტით დაეცა. მაგრამ მა-  
ინც მოასწრო ჭრელი პითონისათ-  
ვის — კლდის გველისთვის მადლობა  
მოეხსენებინა, თუმცა რა მადლობის-  
თვის სცხელოდა? სასწრაფოდ თავის  
გაწეილ ცხვირზე ბანანის ცივი  
ფოთლები უნდა დაედო და ჩაეყო  
მწვანეზე მწვანე, წუმპედქცეულ,  
დამყაყებულ-დაჭაობებულ მდინარე  
ლიმპოპოში ტივილების დასაყუ-  
ჩებლად.

— ეგ რა ფოთლები დაგიფარე-  
ბია? — შეეკითხა ჭრელი პითონი —  
კლდის გველი.

— უკაცრავად, გეთყუა, — მიუ-  
გო პატარა სპილომ, — ცხვირი ძა-  
ლიან დამიგრძელდა, ისევ უნდა და-  
ვიმოკლო.

— დიდხანს მოგიწევს ლოდინი.  
— უთხრა ჭრელმა პითონმა —  
კლდის გველმა. — საკვირველია,  
ზოგიერთი რატომ ვერ არჩევს კარ-  
გსა და ავს?

მდინარეში დინგჩაყოფილი სპი-  
ლო სამი დღე და ღამე უცდიდა. დინ-  
გის დამოკლებას, მაგრამ იმას დამო-

კლებისა არაფერი ეტყობოდა! ამას  
კიდევ ერთი უბედურებაც დაემატა —  
თვალი გაუელამდა. ალბათ, მიხვდი,  
ჩემო პატარავ, ნიანგმა იმდენზე ჩა-  
მოუწელა ის დინგი, რამსიგრძე  
ხორთუმიც დღეს სპილოს აქვს.

მესამე დღის მიწურულს სპილოს-  
თან რომელიღაც მწერი მოფრინდა  
და მხარზე უტეინა. სპილომ თავის-  
დაუნებურად ხორთუმი მოიქნია.  
გასრეილი მწერი მიწაზე დაეცა.

— აი, შენი პირველი გამარჯვება!  
— დაისისინა ჭრელმა პითონმა —

კლდის გველმა. — თვითონ განსაჯე.  
შეგეძლო ამისმაგვარი რამე გაგე-  
კეთებინა შენი პაჭუა დინგით? აბა,  
ერთი მაგ ხორთუმით ჭამაც სცადე!  
პატარა სპილომ თავისდაუნებურად  
მთელი ბლუჯა ბალახი მოგლიჯა, წი-  
ნა ფეხებით მტვერი გადაწმინდა და  
მაშინვე პირში იტაცა.

— ესეც შენი მეორე გამარჯვება!

— დაისისინა ჭრელმა პითონმა —  
კლდის გველმა. — აბა, ამას მოახერ-  
ხებდი შენი უწინდელი პაჭუა დინ-  
გით? რა ამის პასუხია და, ვერა  
გრძნობ რა უღმერთოდ გატერს მზე?

— მართლაც ძალიან დამცხა. —

მიუგო პატარა სპილომ. მერე თავის-  
დაუნებურად მწვანეზე მწვანე, წუმ-  
პედქცეულ, დამყაყებულ-დაჭაობებულ  
მდინარე ლიმპოპოდან ხორთუ-  
მით შლამი ამოხაბა და თავზე დაიტ-  
ყეპა. შლამი ქუდივით ჩამოეფხატა  
და ყურებიდან წურწურით ჩამოუვი-  
და წყალი.

— ესეც შენი მესამე გამარჯვე-  
ბა! — უთხრა ჭრელმა პითონმა —  
კლდის ვეგელმა. იზამლი ამას შენი.  
უწინდელი, პაჭუა ღინგით? ისე, რას  
იტყვი ერთ წამოთაქებაზე, ხომ არ  
გეწყინება?

— ბოდიშს ვიხდი, გეთაყვა, მაგ-  
რამ, მართალი რომ მოგახსენოთ, სუ-  
ლავა არ მესიამოვნება ახლა თავში  
წამოთაქება.

— შენ რომ მისტყობო ვინმე?  
— ეს კი ურიგო არ იქნება! გულს  
მოვიფხან. — მიუგო პატარა სპი-  
ლომ.

— შენ ჯერ კიდევ არ იცი შენი  
ცხვირის ყადრი, — უთხრა ჭრელ-  
მა გველმა! — ეგ პირდაპირ განძია,  
საუნჯე. მაგ ცხვირის პატრონი ყვე-  
ლას მოერევი...

— დიდად გმადლობთ, — უთხრა  
სპილომ. — გავითვალისწინებ თქვენს

დარიგებას. ახლა კი ღროა შინისა-  
კენ გავწიო. ჩემს ძვირფას ნათესა-  
ვებთან გამოვცდი ჩემი ღინგის ძა-  
ლას!

პატარა სპილო აფრიკისაკენ გამო-  
ემგზავრა. გზად მიმავალი ხორთუმს  
აქეთ-იქით იქნევდა და მშვენიერად  
იქცევდა თავს. მოუნდებოდა თუ არა  
ხილი. უწინდებურად კი არ უცდი-  
და, როდის მოსწყდებოდა ტოტიდან  
თავისით ნაყოფი, პირდაპირ ხეზევე  
მიირთმევდა. მოუნდებოდა თუ არა  
ბალახი, უწინდებურად კი არ იჩო-  
ქებდა მოსაძოვად, ზეზეურად, ხორ-  
თუმით ბლუჯა-ბლუჯა გლეჯდა და  
იცოხნიდა. თუ ბუზი შეაწუხებდა,  
ხორთუმით ტოტს მოსტეხდა, მარაო-  
სავით დაინიავებდა და იგერიებდა  
აბეზარებს. თუ მზე დააჭერდა, ხორ-  
თუმს მდინარეში ჩაჰყოფდა, ამოხა-  
პავდა ცივ წყალს და თავს იგრილებ-  
და. თუ მოიწყენდა, სიმღერას შე-  
მოსძახებდა. ხორთუმიდან ას სპი-  
ლენძის ბუკზე უფრო ომახიანი ხმა  
ამოსდიოდა.

პატარა სპილომ გზიდან განგებ გა-  
დაუხვია, რომ სქელუა დეიდა ბეჰე-  
მოს გადაჰყროდა და ერთი ლაზა-  
თიანად მიეხევა და  
შემოწმებინა: რამდე-  
ნად მართალი იყო  
ჭრელი პითონი, ასე  
რომ უქებდა ახალ  
ცხვირს.

პატარა სპილომ ბე-  
ჰემოსის ცემით გული  
რომ იჯერა, თავისი  
გზა განავრძო, — მი-  
დიოდა და ძირიდან  
ნესვის ქერქებს კრე-  
ფდა, რომელიც იქით,  
ლიმპოპოსკენ მიმა-  
ვალს დაუცვივდა გზა-  
ში. ის ხომ პეწენიკა  
სქელკანაშვილი ბრძა-  
ნდებდა!

ერთ მშვენიერ სა-  
ღამოს პატარ სპილო  
შინ დაბრუნდა თავის  
ძვირფას ნათესავებ-  
თან. მან ხორთუმი  
მალა ძაწია და დაი-  
ძახა:

— გამარჯობა! რო-  
გორ ბრძანდებით, ჩე-  
მო კარგებო?

პატარა სპილოს ნა-  
თესავებს გაუხარდათ  
იმისი დაბრუნება და  
ერთხმად შესძახეს:

— სადა ხარ, სადა! რამდენი ხა-  
ნია შენი ახირებული ცნობისმოყვა-  
რეობისთვის! წიხლი არ გვითავაზე-  
ბია შენთვის!

— ნურას უეცრავად! — შეაგება  
სიტყვა პატარა სპილომ, — გეყოთ  
ჩემი ცემა-ტყეპა და აბუჩად აგდე-  
ბა. აბა ახლა ჩემი მუშტიც იგემეთ!

თქმა და შესრულება ერთი იყო:  
შემართა თავისი ხორთუმი და რამ-  
დენიმე ძვირფასი ნათესავი ერთად  
გადაატრიალა ყირამალა.

— ჰოი, საკვირველებავ! — აღ-  
მოხდათ გაოცებულებს, — სად გაი-  
წაფე ასე, ან ეს რა ცხვირი გამოგ-  
ბმია?

— ეს ცხვირი ნიანგმა მიბოძა, რო-  
მელიც მწვანეზე მწვანე წუმპედ-  
ქცეულ, დამყაყებულ-დაჭაობებულ  
მდინარე ლიმპოპოში ცხოვრობს, —  
უთხრა პატარა სპილომ.

— რა უშნო ცხვირი! — წამოს-  
ცდა ბანჯვლიან ძია პავიანს.


— შესაძლოა, — დაეთანხმა პატა-  
რა სპილო, — მაგრამ ძალიან გამო-  
სადევი კია.

ის მაშინვე ეძგერა თავის ბანჯვე-  
ლიან ბიძას, ჩავლო ხორთუმი თა-  
თებში, გემოზე დააჭანჭყარა და კრა-  
ზანას ბუდეში შეისროლა.

ისე გათამამდა ეს საძაგელი პატა-  
რა სპილო, რომ მთელ ნათესაობას  
დაერია და სულ ზურგზე ბოლი აღი-  
ნა. თავის აყლაყულა დეიდა სირა-  
ქლემას ლამის ღერო-ღერო დააძრო  
ბუმბული. კისერა ძია ყირაფიც და-  
ითრია და ჯაგებში შეაგდო. წყალში  
ჩაძირულ დეიდა ბეჰემოსს ხორთუ-  
მით შეუბერა და ყურები წყლით  
აუვსო. ჩიტ-კოლოკოლოსათვის კი  
ხელი არ უხლია.

საქმე იქამდე მივიდა, რომ პატა-  
რა სპილოს მთელი ნათესაობა, ზოგი  
ადრე, ზოგი უფრო გვიან, სათითაოდ  
გაემგზავრა მწვანეზე მწვანე, წუმპედ-  
ქცეულ, დამყაყებულ-დაჭაობებულ,  
ევკალიპტებით გარშემორტყმულ  
მდინარე ლიმპოპოსაკენ, რომ ნიანგს  
იმათთვისაც ებოძებინა ასეთივე  
ცხვირი.

შინ მობრუნებულ ნათესაობას  
არასოდეს ერთმანეთისთვის აღარ  
უცემიათ. მას შემდეგ, ჩემო პატა-  
რავ, ყველა სპილოს, რომელსაც კი  
შენ ოდესმე ნახავ, ან იმათაც, რომ-  
ელთაც ვერასოდეს ნახავ, ისეთივე  
ხორთუმები აქვთ, როგორიც ამ ცნო-  
ბისმოყვარე სპილოს.





რაკეტა აპრობს ტყის ხანძარს

ბელგიელმა ინჟინერმა პ. შალიჩმა შექმნა რაკეტა, რომლითაც შეიძლება ტყის ხანძრის ჩაქრობა. რაკეტის კოროპუსში მოთავსებულია ასაფეთქებელი ნივთიერება და ქაფისმაგვარი მშრალი ფხვნილი. გაშვების შემდეგ რაკეტის მართვა რადიოთი ხორციელდება. საქეზე განლაგებული მიმღებები იღებენ ბრძანებას და რაკეტას ხანძრის ადგილისაკენ მიმართავენ.

ტყევი რომ არ დაწვანდეს...

შვედი სტატისტიკოსების გამოანგარიშებით, მათი ქვეყნის ტურისტულ ზონებში ნაგავი ყოველ წელიწადს ათასი ტონით იწრდება. ამის მიზეზი ის არის, რომ ტურისტები ტყეში

ცარიელ ბოთლებს ყრიან. ამჟამად, ექსპერიმენტის სახით, ლუდი და ზოგიერთი სხვა სასმელი პლდომერის მასალისაგან დამზადებულ ბოთლებში იხსმება, რომლებსაც საკმაოდ სწრაფად შლის ნიადაგში არსებული მთავები.

ბიზი კი ისევ იმ არის...

ხიდს რომ მიაღებდა, მძლოლი ავტომობუსს აჩერებს და გულმოდგინედ სთვლის მგზავრებს.

თუ მგზავრთა რაოდენობა ორმოცდარვა არ აღემატება, ავტომობუსი განაგრძობს სვლას, თუ ორმოცდარვაზე მეტია, ზედმეტ მგზავრებს სთხოვენ ჩამოვიდნენ და ხიდზე ფეხით გაიარონ. საქმე ის არის, რომ ხიდის გაანგარიშებული დატვირთვა უფროს ავტომობუსის, ორმოცდარვა მოზრდილი მგზავრის, მძლოლის, კონდუქტორისა და ბარგის წონას.

ასე რომ, მძლოლთა სიფრთხილის წყალობით ძლებს აქამდე ეს დროებითი, ას ათი წლის ხიდი ინგლისის კენტის საგრაფოში.

მუნციპალურ საბჭოში კი ასი წელიწადია დავობენ: დროებითი ხიდი მუდმივით შევცვალოთ თუ არაო.



### სა—კომბინატი

„ბე-კომბინატი“ — ასე უწოდა კაკლის ხეს ბუნების დიდმა გარდამქმნელმა ი. მიჩურინმა. ეს მართლაც რომ ასეა, რადგან ამ მცენარის ყველა ნაწილი გამოიყენება.

ნიგოზს, ცხიმების დიდი რაოდენობით შემცველობის გამო, დიდი კვებითი ღირებულება აქვს. მას იყენებენ კულინარულ და კვების მრეწველობაში; ნი. გოზისაგან იღებენ ძვირფას ზეთებს; ზეთის გამოხდის შემდეგ მიღებული კომპონით პირუტყვს კვებავენ. ნიგოზისაგან დამზადებული მალვა, ჩურჩხელა, გოზინაყი და სხვადასხვა ტკბილეული ძალზე გემრიელი და მაწიერია.

ერთი კილოგრამი ნიგოზი კალორიულობით აღემატება 8 კგ პურს, 7 კგ კარტოფილს, 4 კგ ხორცს, 14 კგ მსხალს, 15 კგ რძეს.

ნაყოფის მწვანე გარსი მდიდარია ტანინით, მთრიმლაგი ნივთიერებებით.

მკვებ ნაყოფი და ფოთლები შეიცავს „ც“ ვიტამინს, კაროტინს, ეთეროვან ზეთებს. კაკლის ხის ქერქისა და

ფესვებისაგან იღებენ შესანიშნავ უჯვისფერ საღებავს შალისა და აბრეშუმის ქსოვილებისათვის.

კაკლის ფოთოლს ძლიერი სუნი აქვს, ეს სუნი ეთეროვანი ნივთიერებისაა, რომელიც ძლიერ ეჯავრებათ ქინქღებს, კოდოებს და ბუზებს.

კაკლის ხის მერქანი ერთ-ერთ საუკეთესო მასალად ითვლება ძვირფასი ავეჯის დასამზადებლად და მოსაპირკეთებლად.

კაკლის ხე სიმაღლით შეიძლება 30 მეტრამდე გაიზარდოს; მისი დიამეტრი ზოგჯერ 5 მეტრს აღწევს. ჩვეულებრივ კი 1-2 მეტრია. მოზრდილი ხე თავისუფლად უძლებს 25 გრადუსს უინვას. დიხანს ცოცხლობს. მაგალითად, მარტყოფში დგას კაკლის ხე, რომელიც 800-წელზე მეტი ხნისაა.

ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბურის საშუალო სკოლის ენოში დგას კაკალი, რომელიც თვითნებულ ყუნწზე 5-6 მეტრისებურად ასხმულ ნაყოფს იხსამს. ნაყოფს თხელი ნაჭუჭი აქვს, ლეხნები ქარვისფერი და დიდად ნოყიერია.

კაკლის ხის ნარგავებს ჩვენს რესპუბლიკაში ათი ათას მეტრარზე მეტი ფართობი უკავია. ათეულობით მეტრარზე კი კაკლის სანერგებია გაშენებული.

ბ. მათუაშვილი.



მასწავლებელი — რა არის სიმძიმის ცენტრი?

მოსწავლე — ასო „ძ“, მასწავლებელი!

მასწავლებელი — რა არის H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>?

მოსწავლე — ენის წვერზე მადგას, მასწავლებელი!

მეორე მოსწავლე — ჩქარა გადმოაფურთხე, ეგ ხომ გოგირდმევაა!

პაციენტი — ექიმო, რას აკეთებთ ხოლმე, როცა გაციებული ბრძანდებით?

ექიმი — ვახველებ.

— კრივი ყველაზე ლამაზი სპორტია!

— თქვენ მოკრივე ხართ?

— არა, კბილის ექიმი გახლავართ!

მასწავლებელი — რომელი კბილი ამოგვდის ყველაზე ბოლოს?

მოსწავლე — პროტეზი.

კლიენტი — ღმერთო კი მომკალი, ეს რა მიყავით? მთელი კერძი კაბაზე გადამასხით!

ოფიციალტი — ნუ ღელავთ, ქალბატონო, კიდევ გვაქვს სამზარეულოში.

პარიკმახერი — ბიჭუნავ, ქოჩოკი გვერდზე გაგიკეთო?

კლიენტი — არა, სჯობს თავზე გამიკეთო.

რატომ გიკეთიათ სათვალე ძილის დროს?

— წარმოიდგინეთ, ისეთი ბეცი გავხდი, რომ სიზმარშიაც კი ველარა ვცნობ ხალხს.



## ვაზი ზუჯიში

მღუმარ ქვაში  
ვაზი სუნთქავს მკერდგამილი,  
ვაზია თუ საქართველოს აღტაცება!  
ამ მიწაზე  
ვაზის ტრფობით მარად ვივლი  
და ეს გულიც  
სიყვარულში არ დაცხრ. ბ.

## ჭურჭი

ბუჩქებში ყვინთავს ყვითელი ჭინკა,  
ტყეში დგას ლხინი წიფობელების;  
ცას — გამჭვირვალეს,  
ვით ბროლის ჭიქას,  
კვლავ დაამსხვრევენ ღრუბლის ბელები.

დაბერილი აქვს მიწას ფილტვები  
და ცით მომსკდარი ურიცხვი ფერი  
ჭრელი ხელებით,  
ჭრელი ჩითებით  
ტყეში საოცარ სიმღერას მღერის.

ჩამავალი მზის  
დაღლილი მხრები  
მთას მიბჯენია ათას ასკილად;  
საშემოდგომო ქარების ხმებით  
ხვეი პირთამდე ჩუმიად ავისილა.

ვაზს, ჩუქურთმად  
ქვის ცივ შკერდზე ამოყვანილს,  
დასჭირდება? —  
გულს მივაწვდი ხსნად და ჭიგოდ;  
ვუფრთხილდები უკვდავების მწვანე ყვავილს  
და მსურს ახლა  
დროს ვაზივით შევეჭილო.

ვინ ჩატვიფრა უხსოვარ დროს ქვაში ვაზი,  
ჩატვიფრა და...  
გულიც მასში ჩააქერა, —  
იქნებ მაშინ, როცა შლეგი შაპ-აბაზი  
ოცნებობდა დაენაცრა ვაზის კერა.  
ვაზს ცივ ქვაში ვინ აღირსა უკვდავება,  
მტრის წადილი  
ერთხელ კიდევ ვინ დალახვრა!  
მე ჩუქურთმას ვხედავ სიკვდილუქარებას  
და ფიქრები  
უკვდავ ქვაზე ყველგან მახლავს.

ვერა, ვერა!  
ვერ დაგვიფშენეს ქართლის ლიბო,  
ჩვენს ციხეებს ვერ მოშალეს ჩუქურთმები,  
ვაზის ცრემლი პურის ყუას ჩუმიად მიღობს,  
დამშრიალებს ვაზი, როგორც მწვანე ფრთები.  
და მე ვლოცავ იმ მარჯვენას, ვინაც მაშინ  
ამ ჩუქურთმის შექმნით თოში, ყინვა ნახა,  
ვინაც ბლაგვი საჭრეთელით მღუმარ ქვაში  
ვაზი, როგორც უკვდავება გამოსახა!

ბაიასფერი გზა და სურვილი  
სივრცეთა ტალღებს აპობს მხარულით  
და... აფეთქდება მალე ჭურჭივით  
დღეთა მიზანი  
ჯერ დაფარული.



# თქვენი მზისუცვალი



ნატყვიარ გზებზე,  
 ეკლიან გზებზე  
 წამით იალებს შმაგი მახვილი,—  
 მოთმინებით და წყურვილით გეძებთ  
 და... თქვენს შუკებში ბლავის ნახირი.  
 ისევ წუხს ეზო,  
 ვენახი, სახლი,  
 მიტოვებული თეთრი ქაღალდი;  
 გახუნდა დედის თავშალი-თაღზი,  
 ცრემლების თქეშით სველი აქამდის.  
 მწუხრისფერია ჩვენი აკვანი,  
 არ ახსოვს თქვენი ხელების სითბო  
 და ტყვიამფრქვევთა ცხელი კაკანი  
 კვლავ იავ-ნანას გვიმღერის თითქოს.  
 რად ფრთონავს ისევ დარდი და სევდა,  
 თუმცა დამცხრალან ის წლებიც უკვე,—  
 დღეს მშვიდი თვალით  
 სამყაროს ვხედავთ  
 და ვახშიანებთ თქვენს მდუმარ ბუკებს.  
 ვინა თქვას ახლა თქვენი სათქმელი  
 მინანქრებული ათქვირულ მაისს,—  
 ის საქმე დიდი,  
 ფიქრი ნათელი  
 თქვენეულია,  
 თქვენია მაინც.  
 ვინც რა უნდა თქვას,  
 გვაკლია თქვენი  
 აღამდარობა,  
 მამური წყრომა,  
 მოსაწიერი თქვენი მზის რთველი,  
 თქვენი ზაფხული და შემოდგომა.  
 და გვაბატყეთ, თუ ეს სიმღერა  
 რეკვიემივით მწუხარედ ისმის,  
 მაინც სამშობლოს გულში მიღელავს  
 თქვენი და...  
 თქვენი შვილების სისხლი.

## II


ო, არა, არა! —  
 თქვენ ხართ ცოცხლები,  
 სახელი დიდი ხმაურობს ყველგან,  
 ძენი, სიმართლის,  
 რწმენის,  
 ოცნების,

რა გუყოთ,  
 შეხვლით ტყვიების დელგმას.  
 საქართველოში, არა გვეგონია,  
 იყოს ოჯახი უთქვენო სველით, —  
 ო, მაშინ დღევს,  
 დღევს გოლიათს, —  
 საკუთარ სისხლით  
 და ნერვით წერდით.  
 და სტკივა მიწას თქვენი სამარე,  
 სტკივა ასპინძას,  
 არმაზს თუ კრწანისს  
 და... ისტორია, როგორც წამალი  
 გავიხსენეთ და...  
 გვიშველა წამით.  
 თუმც უწმინდესი თქვენი საფლავი  
 ჩვენ აქ  
 მწვერვალად გვინდოდა მაინც, —  
 მომავალ დღეთა დასადაფნავი,  
 ვინ იცის ახლა,  
 სად ხედება მაისს.

## III

დღეებს აცვიათ თალხი კაბები,  
 თუმცა სიკვდილი თქვენი არ სჯერათ,  
 არა!  
 წუთით არ დაიკარგებით,  
 განველოთ უთქვენოდ წელი ასჯერაც.  
 ზედ უფსკრულებზე  
 აღმართეთ ხილი, —  
 დღეს ვინღა შესძლებს დაგვამუნათოს;  
 შთამომავლობა ამ ხილზე მიდის,  
 შთამომავლობას რომ გაუნათოს.  
 მარადი ჯაჭვი სიცოცხლის დიდის  
 თქვენით ერთდება,  
 თქვენით გრძელდება,  
 შთამომავლობა ამ ჯაჭვით მიდის  
 და თქვენი სისხლიც არ დაბერდება.  
 არ დაბერდება ისე, ვით ძელქვა  
 დაკონდრებულ, მწვანე მდელიში —  
 ჩემი თაობა თქვენ დაგრჩათ ძეგლად  
 მზით განათებულ საქართველოში.

მხატვარი ლ. ზარაფიშვილი.





ქვემოთაა  
საქართველოს

# საქართველოს მცენარეული მემკვიდრეობა

საქართველოს მცენარეობა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღი ბათუმსა და ჩაქვს შორის მდებარეობს. ამ მეტად ლამაზ მიდამოს მწვენიელ კონცხი ჰქვია. ბაღი დაარსდა 1912 წელს ცნობილი ბოტანიკოსის, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ანდრია ნიკოლოზის ძე კრასნოვის თაოსნობით. მისი გაშენების მიზანი იყო ძვირფას სუბტროპიკულ მცენარეთა შემოტანა, მათი შესწავლა და მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობის შექმნა.

ამჟამად ბაღში 5000-მდე სახეობისა და სახესხვაობის მცენარე იზრდება, მათ შორის 2000-ზე მეტი ხე და ბუჩქია, 1200 ჭიშის ვარდი და 900 სახეობის ნაირფერი ბალახოვან-ყვავილოვანი მცენარე, დანარჩენი კი დახურული გრუნტის მცენარეულობაა.


ბაღის ტერიტორიაზე (ფართობი 111 ჰექტარს მოიცავს) განლაგებულია ორი ტყე-პარკი, ფიტოგეოგრაფიული განყოფილებები, მესამეული პერიოდის კოლხიდის ტყის ნაკრძალი, დეკორაციული მერქნიან-ბუჩქოვან და ბალახოვან-ყვავილოვან მცენარეთა საწარმოები, ტროპიკულ მცენარეთა საკოლექციო ორანჟერიები, საკვლევი

მცენარეთა საცდელი ნაკვეთები, ჩაის ციტრუსოვან მცენარე და ფეიჭოას საცდელ-საჩვენებელი პლანტაციები.

სამეცნიერო მუშაობისა და სასწავლო პრაქტიკის მიღების თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა, გეოგრაფიული განყოფილებები, სადაც მცენარეები გაშენებულია ფლორისტული წარმომავლის მიხედვით. ბაღში შექმნილია 9 ფიტოგეოგრაფიული განყოფილება: აღმოსავლეთ აზიისა, რომელიც აერთიანებს

ჩინეთის, იაპონიის და კორეის ფლორათა ეგზოტებს; ჰიმალაისა, ახალი ზელანდიისა, ავსტრალიისა, სამხრეთ ამერიკისა, მექსიკისა, ჩრდ. ამერიკისა და ხმელთაშუაზღვისა, სადაც ხარობს ამ ქვეყნების ფლორის დამახასიათებელი მცენარეები. სახეობრივი სიმდიდრით და სუბტროპიკული სოფლის მეურნეობისათვის დეკორაციული მებაღეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებით ყველაზე მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ აზიის განყოფილება. აქ

**მარკსნიდან მარჯვნივ სურათებზე:**  
**№ 1. ვიკატორია, კონტაფარია, წყლის სუბალი. ე. ბაბა წყალმცენარეებით. მ. მარაონაზარი პალმა. მარჯვნივ — ხაზატი-პორისი.**




**ბანანი, მანანის ეკოლოგია.**

შეგიძლიათ იხილოთ სუბტროპიკული ხეხილოვანი მცენარეები: მანდარინი, იაპონური ხურმა, რომლის კოლექცია ბაღში 22 ჯიშს აერთიანებს, ტუნგო, ჩინური ფორთოხალი, ჩინური აქტინიდიას საუკეთესო გემოს ნაყოფები, იაპონური ზღმარტალი და სხვა. დეკორაციული მცენარეებიდან ყურადღებას იქცევს შქერები და იელები. მათი ლამაზი ყვავილები უხვად აფრქვევს სასიამოვნო სურნელებას. იქვეა იაპონური ალუბალი, დიდრონი, ბუთხუზა, ვარდისფერი ყვავილებით, რომლებიც დეკორაციულ მებაღეობაში დიდად არის ნაქები. თვალს ხვდება იაპონური და ჩინური დეკორაციული მებაღეობის დამახასიათებელი კომპოზიციის ცალკეული ფრაგმენტები, სადაც პარმონიულად არის ერთმანეთთან შეთანწყობილი ჩანჩქერი, ტბა, კეხიანი ხიდი, ცემენტის სოკო, ფანარი, ჯუჯა და ნაირფერად მოყვავილე დაბალი ბუჩქები, რომლებიც ლამაზად ირეკლება ტბაში. ბაღში საკმაოდ ბევრი ხარობს იაპონური ნეკერჩხალი. ამ მცენარეს დეკორაციულ მებაღეობაში დიდი სახელი აქვს მონკევილი. ამ მცენარის ზოგიერთი სახე გაზაფხულის დამდეგსა თუ შემოდგომის მიწურულს ერთიორად ალამაზებს ბაღს. იაპონია-ჩინეთის ფლორის წარმომადგენელთა შორის საკმაოდ უხვად არის სამრეწველო მნიშვნელობის ჯიშებიც. სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, სატყეო მეურნეობისა და სხვა დარგის სპეციალისტები აქ 27 სახეობისა და სახესხვაობისაგან შემდგარ ბამბუკის კოლექციას ეცნობიან. მათ შორის საკმაოდ მრავალი სამრეწველო და სხვა მრავალმხრივი გამოყენებითი

მნიშვნელობისაა. მაგალითად: ბამბუკისაგან ამზადებენ ტელეგრაფის ბოძებს, ავეჯს, სპორტულ ინვენტარს, მუსიკალურ ინსტრუმენტს, ქოლგებს, ძვირფასი ხარისხის ქაღალდს, ლარნაკებს, სკამებს, ფანჩატურებს, ხმარობენ სხვადასხვა სახის წყალგაყვანილობის მიღებად, ამენებენ საყვავილე და სხვადასხვა სუვენირებით სავაჭრო ფარდულებს. ჩინეთში ბამბუკ მოსოს ახალგაზრდა ამონაყრებს საქმელადაც კი იყენებენ. ბამბუკი ბიოლოგიურადაც ძალზე საყურადღებო მცენარეა. იგი 30-40 დღეში ამთავრებს ზრდას და დღე-ღამეში 90-120 სმ. ნახარდს იძლევა, სიცოცხლეში ერთხელ ყვავის, ყვავილობის შემდეგ კი პლანტაცია უმეტესად ხმება. ამჟამად საქართველოში ბამბუკის პლანტაციები (მადაკე) მასობრივად ყვავილობს და მისი მოშენება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი პრობლემაა. აქვე ნახავთ იაპონურ დარიჩინს, რომლის ნაყოფი უხვად შეიცავს ზეთს, და შეუძლია შეცვალოს კაკაოს ზეთი (იგი შემოგვაქვს საზღვარგარეთიდან) შოკოლადის წარმოებაში. ეს მცენარე ფართოდ გამოიყენება წარმოებაში და უკვე გაშენდა პირველი სამრეწველო პლანტაციები სხვადასხვა ცხიმეთერზეთების საბჭოთა მეურნეობებში, (აბაშა, ცხაკაია, ქობულეთი, ბათუმში). ასევე საინტერესოა ცრუქაფურის ხე. დადგინდა, რომ მისი ნაყოფი ცხიმს შეიცავს. ეს ნაყოფი შეიძლება გამოყენებულ იქნას მლაშე წყალში სახმარი საპნის დასამზადებლად. ამ ფლორისტული განყოფილებიდან სატყეო მეურნეობისა და ქარსაფარი ზოლების მშენებლობისათვის ძვირფას ჯიშებად არის აღიარებული იაპონური ძელქვა, იაპონური წაბლი, ჩინური კუნინგამია,


იაპონური კრიბტომერია, მირზინოფოთოლა, მუხა და სხვა, რომლებიც, ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით, გამოირჩევა სწრაფი ზრდით და კარგი ხარისხის მერქნით. ბაღში უხვად ხარობს პალმები, რომლებიც ტროპიკულ ელფერს აძლევს იქაურობას. მხვიარა მცენარეებიდან ყურადღებას იპყრობს პუერარია, მწვანე ხალიჩად რომ აფარია აჭარის ზღვისპირა ფერდობებს, ჩინური ვისტარია. ეს მცენარე სხვა მცენარეს ეხვევა და სწრაფად იპყრობს თავის ახლომახლო მზარდ ხეებს. იგი წელიწადში ორჯერ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე, უხვად ყვავილობს დიდრონი მტევანა, იისფერი და თეთრი ყვავილებით. მის სილამაზეს გულრილად ვერ ჩაუვლის მნახველი. მხვიარა მცენარეა აქტინიდიებიც, რომელიც ფართო ფოთლებით ტროპიკულ იერს აძლევს ლანდშაფტს, ერთი მათგანი კი გემრიელ ნაყოფს იძლევა და მალე სუბტროპიკულ მეხილეობაში ფეიჭოსს გვერდით დაიმკვიდრებს ადგილს. იაპონური და ჩინური მცენარეებიდან ბაღში ისეთი მცენარეებიც ხარობს, რომლებიც კავკასიური მცენარეებისათვის უჩვეულო დროს, მხოლოდ ზამთარში ყვავის. ასეთია კამელია, რომელიც ყვავილის სიმშვენიერით და მრავალფეროვნებით ვარდს არ ჩამორჩება. ბათუმის ბოტანიკური ბაღი საბჭოთა კავშირში ერთადერთი ბაღია, რომელსაც კამელიის ასეთი მდრდარი კოლექცია აქვს (80-90 ჯიში).

ბაღში უხვად ხარობს მრავალწლიანი გიგანტური ბალახი — იაპონური დეკორაციული ბანანი, 1,5-2 მეტრი სიგრძის ფოთლებით, რომელიც ლაღად გრძნობს თავს და ტროპიკულ იერს აძლევს აჭარის ისედაც ლამაზ ბუნებას.






ბამბუკი  
მოსო.



ჩილის  
არაშპარია.



დედინაცვლის ენა, აზავა.  
უკანა რიგში — მემსიკური პალმა.



პამპასის  
ბალახი.

ეროვნული  
ენციკლოპედია

ავსტრალიის განყოფილება, სხვა განყოფილებისაგან განსხვავებით, ცისფერფოთლებიან მცენარეებს აერთიანებს. ეს მცენარეები ბუმბერაზი ევკალიპტის ხეები, რომლებიც სიმალლით ხშირად 100 მეტრს აღწევენ და მათი დიამეტრი კი 3 მ აღემატება, სიდიდით მცენარეულ სამყაროში (უდიდესი მცენარეა სექვოიადენდრონი) მეორე ადგილს არავის უთმობენ. ევკალიპტის გაშენება დასავლეთ საქართველოში ძალიან ხელსაყრელია. მან დიდი როლი შეასრულა ჭაობების დაშრობასა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი უხვად გამოჰყოფს ისეთ ფიტონციდებს, რომლებიც სპობს მალარიის კოლოს და სხვა ავადმყოფობათა გამავრცელებელ მიკრობაქტერიებს. გარდა ამისა, ევკალიპტის ფოთლებისაგან მზადდება სხვადასხვა შემცველობის ზეთები, რომლებიც გამოიყენება მრეწველობაში, მედიცინაში: გრიპის, კუჭნაწლავის, ღვიძლის და სხვადასხვა რევმატიულ დაავადებათა წინააღმდეგ. ავსტრალიის მცენარეთა შორის გამოირჩევა ლამაზად მოყვავილე კალისტემონი და ვანსაკუთრებით, მიმოზის სახელოვანებით ცნობილი აკაცია, რომელიც თებერვალ-მარტში ყვითელი, ბურთულა ყვავილებით ყვავის.

თავისებურ იშვიათ ლანდშაფტს ქმნის ახალზელანდიის ფლორის წარმომადგენელი მცენარეები. მარადმწვანე, დაბალი ბუჩქი — ვერონიკა (ივნისიდან იანვრის შუარიცხვებამდე ყვავის მტევნებად, იისფერი ყვავილებით), ახალზელანდიური სელი და სამხრეთული კორდილინა. მათს მყარსა და ძვირფას ბოჭკოს

სოფლის მეურნეობაში თუ მრეწველობაში მრავალმხრივი გამოყენება აქვს.

აღმოსავლეთ აზიის ფლორის შემდეგ ბაღში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩრდილო-ამერიკულ ფლორას, მისი ჯიშობრივი შემადგენლობა 330 სახელოვანებას აღემატება. მათ შორის საქართველოს დეკორაციული მებაღეობისათვის მეტად საინტერესოა მაგნოლიები — მესამეული პერიოდის რელიქტები, რომლებიც იაპონურ-ჩინური მაგნოლიების მსგავსად, საქართველოს ჰავას კარგად ეგუება და გაზაფხულის დამდეგს უხვად ყვავილობს. მარად მწვანე მაგნოლია კი (მისი დიდრონი ყვავილები თეთრი და იისფერია) მაისიდან ნოემბრამდე ყვავილობს. ლალად ხარობს მცენარეები მარადმწვანე სექვოია და გიგანტური სექვოიადენდრონი. ეს გოლიათი ხე 5000 წლამდე ცოცხლობს. მისი სიმაღლე 150 მეტრამდეა, სიგანე — 10 მეტრი. ერთი ასეთი ხე 12000 კუბიკურ მეტრზე მეტ მერქანს იძლევა, რომლის გადასატანად სამოცვაგონიანი მატარებელია საჭირო. ჩრდ. ამერიკიდან შემოტანილი მცენარეებიდან აღსანიშნავია პალმებიც. პალმა ვაშინგტონია 75 წლის ხნოვნებაში სიმაღლით 20 მეტრს გაუტოლდა. დიდრონი, მარაოსებრი ფოთლებით იგი საამო შთაბეჭდილებას ახდენს. სამკურნალო და ხეხილნაყოფოვანი მცენარეებიდან აღსანიშნავია: ვირჯინული ჰამამელისი, რომლის ქერქიდან და ფოთლებიდან ამზადებენ სისხლისშემადლეებელ პრეპარატს, ლიქვიდამბრი, რომელიც შეიცავს სამკურნალო და კოსმეტი-

კურ ფისებს; ფორთოხალი — ვაშინგტონ ნაველი, რომლის ნაყოფი სხვა ფორთოხლის ნაყოფისაგან გამოირჩევა და ბევრად უკეთესი გემო აქვს.

ხმელთაშუა ზღვის ფლორის განყოფილებაში მნახველი ეცნობა ესპანურ სოჭს, ზეთისხილს, კორპის მუხას, ქვამუხას, ბალიარულ ბზას, ხეპილილს, ჩვეულებრივ მირტს, იტალიურ ქოლგისებრ ფიჭვს, წითელფოთოლა პისარდის ტყემალს და სხვა მრავალ ლამაზ დეკორაციულ მცენარეს.

ბაღში მექსიკის ფლორა შედარებით ღარიბად არის წარმოდგენილი. ამ მცენარეების უმეტესობას წყლიანი და ეკლებიანი ფოთლები აქვს. ასეთებია: სხვადასხვა სახეობის იუკა, ოპუნცია, კაკტუსი, ეხინოკატუსი, ფილოკატუსი, დაზილირიონი. ეუფორბია, ავავა და სხვა, რომლებიც ერთად არის თავმოყრილი და მექსიკის უკიდურესად მშრალი სუბტროპიკების ფლორის ნიმუშად ითვლება. ხანგრძლივ გვალვებთან შეგუების შედეგად ამ მცენარეებს გამოუმუშავდა უნარი წყლის მარავის დაგროვებისა სხვადასხვა სიმყვავების სახით, და თანდათანობით ხარჯავს საჭიროების მიხედვით. მექსიკის განყოფილებაში შეგვიძლია გავიყვნოთ მექსიკური ცისფერი პალმა — ერიტეა, რომლის ფოთლებსაც ყუნწთან მაგარი ეკლები აქვს. ამის გამო მას „შეიარაღებულ“ პალმას ეძახიან. მექსიკის მაღალი მთის (1200-3600 მ) მცენარეები — მონტეზუმის ფიჭვი პატულა გამოირჩევა დაკიდებული ტოტებით და წიწვებით. ყურადღებას იქცევს ტაქსიდიუმა, რომელსაც 20-25 მეტრი სიმაღლიდან



ძალადის ფაცია,  
ბანანი და კუპარაბი.



ახალჯელანდური ხალი,  
უპან, — დარცანა-ქორდელინა



ჩინური  
პისტარია.



ჩინური  
არაუპარია.

ისე ძალიან აქვს ტოტები დაშვებუ-  
ლი, რომ „მწვანე ჩანჩქერი“ გეგო-  
ნებათ. მექსიკური წარმოშობისაა  
მსხმოიარე ავოკადოც, რომლის  
მსხლისებრი ნაყოფები 100-150  
გრამს იწონის და შეიცავს: 30%-მდე  
ცხიმს, 1,5% ცილებს და თითქმის  
ყველა ვიტამინს, რისთვისაც მას დი-  
დი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

საყურადღებოა აგრეთვე ჰიმალაის  
ფლორა, რომელიც ბაღში 71 სახეო-  
ბით და სახესხვაობით არის წარმო-  
დგენილი. მათ შორის დეკორატივ-  
ების ყურადღებას იპყრობს მტირალა  
ნაძვი, ჰიმალაის კედრი, რომელიც  
სამშობლოში 72 მეტრამდე იზრდება  
და ძვირფას მერქანს იძლევა, გრძელ-  
წიწვიანი ფიჭვი, კვიპაროზი, კანფე-  
ტის ხე, მიწაზე გართხმული სირვა-  
შლა. სხვადასხვა ფერად მოყვავი-  
ლე ჰიმალაის შქერები, სურნელოვან  
ოსმანთუსი ნესვის მძლავრ სურნე-  
ლებას რომ აფრქვევს უხვად, ხენ-  
დროს ხე, ოლიანდერი და სხვა. შედა-  
რებით ახალია სამხრეთ ამერიკის  
განყოფილება, სადაც ჯერ მხოლოდ  
20 დასახელების მცენარე იზრდება.  
მათგან განსაკუთრებით საინტერე-  
სოა ბრანდილისა და ჩილის არაუ-  
კარიები, რომლებიც მესამეული გამ-  
ყინვარების შემდეგ მხოლოდ სამხ-  
რეთ ამერიკის მთებში შემორჩა და  
მუქი მწვანე წიწვები და ცილინდრუ-  
ლი ვარჯი აქვს, რითაც დეკორაცი-  
ულ მებაღეობაში უზბადლო მცენა-  
რებად არის მიჩნეული.

უცხო ტურისტებისა და განსა-  
კუთრებით მეცნიერებისათვის საინ-  
ტერესო ობიექტია ამიერკავკასიის  
ტენიანი სუბტროპიკების განყოფი-  
ლება. აქ კი ხელუხლებლად არის და-

კული ძველი კოლხეთის ტიპის ტყე,  
რომელიც შორეულ წარსულში ძა-  
ლიან იყო გავრცელებული დასავ-  
ლეთ საქართველოში. ამ ტყეში კარ-  
გად არის გამოსახული მცენარეთა  
სართულებად განლაგება, ზედა სარ-  
თული უკავია წიფელს, რცხილას,  
თხმელას, წაბლს და, იშვიათად —  
ხისმაგვარ წყავს. ქვეტყეში იზრდე-  
ბიან მარადმწვანე ბუჩქები: წყავი,  
შქერი, ბაძგი, ძმერხლი, ლიანებიდან  
გვხვდება ღიჭი, სურო, კატაბარდა  
და ღვედკეცი. გარდა ბუნებრივი ტყი-  
სა, შეგვიძლია გავიცნოთ კავკასიის  
ფლორის იშვიათი მცენარეები: ხე-  
კინა, აბრეშუმის აკაცია, გულფო-  
თოლა მურყანი, რომლებიც ბუნებ-  
რივად კასპიის ზღვისპირეთში —  
ლენქორანის დაბლობზე ხარობს.

წყავმაზას და უთხოვარის მერქანი  
ძალიან ძვირად ფასობს. ეს მცენა-  
რეები ტყის სახით შემორჩენილია  
მხოლოდ კახეთში ბაწარას ხეობაში.  
ელდარისა და ბიჭვინთის ფიჭვები  
სხვადასხვა მხარეს იზრდება. ელდა-  
რის ფიჭვი ელდარის ველის მიდა-  
მოებით იფარგლება, ბიჭვინთის  
ფიჭვი კი, სოხუმის მახლობლად,  
ბიჭვინთაში ქმნის წმინდა კორომს,  
და აქა-იქ ანაბამდე გვხვდება. აჭარის  
ენდემს-უნგერის შქერს, პონტოს  
მუხას, ალპიურ მდელოებზე მოზარდ  
ღვიებს და მრავალ ბალახოვან —  
მცენარეებს (ენძელა, ყოჩივარდა,  
ლაზური ზამბახი, ფურისულა და  
სხვა).

ფლორისტულ განყოფილებებში  
და პარკებში შექმნილია ხელოვნური  
ტბები, ამ ტბებში იზრდება სხვადა-  
სხვა ქვეყნის წყალმცენარეები: ნაირ-  
გვარი ჭიშის ტროპიკული ღუმფარა,

წყლის სუმბული (ეუხორნია), ელო-  
დეა და ვიქტორია, რომლის კეცისმა-  
გვარი ფოთლები მის სამშობლოში  
2 მეტრამდე სიგანისაა. მრავალ ად-  
გილზეა მოწყობილი ფანჩატური,  
ვარდებისა და მხვიარა მცენარეების  
მწვანე გვირაბი.


ბათუმის ბოტანიკური ბაღი სამეც-  
ნიერო დაწესებულებაა. კვლევითი  
მუშაობისათვის ურთიერთობა მას  
მსოფლიოს თითქმის ყველა ბოტა-  
ნიკურ ბაღთან აქვს დამყარებული:  
წარმოებს თესლის, მცენარეების,  
ჭერბარათების და მეცნიერული ნაშ-  
რომების გაცვლა. საზღვარგარეთი-  
დან ყოველწლიურად მოდის 1000  
ნიმუში მეტი სხვადასხვა მცენარე-  
თა თესლი, და განუწყვეტლივ მდიდ-  
რდება ბაღის მცენარეთა კოლექცია  
ახალი ეგზოტებით. განსაკუთრებით  
მჭიდრო კავშირია დამყარებული  
გერმანიის დემოკრატიულ რესპუბ-  
ლიკასთან, ბულგარეთთან, რუმინეთ-  
თან, ჩეხოსლოვაკიასთან, პოლონეთ  
თან, ავსტრალიასთან, იაპონიასთან  
საფრანგეთთან და სხვა. ბაღში ყო-  
ველწლიურად გამოდის გასაცვლელი  
თესლების სია, მეცნიერ თანამშრო-  
მელთა სტატიების კრებული, სადაც  
გაშუქებულია ჩვენი ქვეყნის სახალ-  
ხო მეურნეობისათვის ძვირფას მცე-  
ნარეთა ბიოლოგია და გაშენების აგ-  
როტექნიკური საკითხები, მოცემუ-  
ლია მათი დანერგვის რჩევა-დარიგე-  
ბები.

#### ა. ციციშვილი,

ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექ-  
ტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილ-  
ში, სოფლის მეურნეობის მეცნიერ-  
ბათა კანდიდატი.




ვან, ადგილებს, სადაც ასეთი საშიშროება არსებობს (მაგალითად: ვიწრო ქიშკარზე, გარაუქო...) შეგიძლიათ რეზინის საბურავის ნაჭერი მიაკრათ.




ვით. საბურავის რადიუსისოდენა ორმო ამოთხარეთ, შემოდან საბურავი დაადგით, შიგ მუშაობა ჩააფინეთ, წყალი ჩაასხით და ზაფხულის ცხელ დღეებში შეგიძლიათ გამოზე იკუმპალათ.

პარკეტის ან ჩვეულებრივ იატაკზე მუშაობისას, მოფხეკა იქნება ეს, თუ შეღებვა, მუხლები რომ არ იტკინოთ, აქ გამოსახული საბურავის „სამუხლები“ გააკეთეთ და წვივ-მუხლზე წამოიცივით.



გააკეთოთ. შეეცადეთ, ნახვრეტები სარბენ, ანუ მსხვილ ნაწილთან რაც შეიძლება ახლოს გააკეთოთ, შემდეგ ნახვრეტებში ბაწარი ან მავთული გაუყარეთ, ერთმანეთზე გადაბლანდეთ და იმპროვიზებული ბატუტი მზად გექნებათ.



ბავშვებს ძალიან უყვართ ხტუნვა (განსაკუთრებით საწოლებზე) ამ სურვილის დაკმაყოფილება ძალზე იოლია, თუ ამისათვის ნახმარ საბურავს გამოიყენებთ. საბურავის გარდა დაჭირდებათ მაგარი ბაწარი (სასურველია კაპრონისა) ან მომსხო, იზოლატორიანი მავთული. საბურავში ნახვრეტები შეგიძლიათ ბურლით

თუ გინდათ ეზოში პატარა „აუზი“ გქონდეთ, ძველი ავტოსაბურავი (ოლონდ, რაც შეიძლება დიდი) ხელიდან არ გაუშვით.



მებაღე-მოყვარულისათვის ველოსიპედის ან მოტოციკლის ძველი საბურავი მისწრებაა. ვიდრე მებაღე ხეს საბიჭვებელს შეუყენებდეს, სარის თავზე საბურავის ვადანაჭერს დააჭედებს. ასეთი საყრდენი იმით არის კარგი, რომ ტოტს ნაზ კანს არ დაუზიანებს.

## ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

3. მისხიზვილი — აქ ყოველი დღე ხალისიანია (რეპორტაჟი)	1	შ. პაპანაძე — როგორ ვითევზავე ლოქოზე — (მოთხრობა)	19
3. ჩიკაპიძე — ლენინი და ბუტირსკელი ბიჭუნა „ლარბი“ (ნამდვილი ამბავი)	8	მ. ჩხეტიანი — დილა ბანაკში (ლექსი)	20
ლექსები ლენინზე		რ. კიკელიძე — პატარა სპილო (მოთხრობა, თარგმანა ნ. უბილაძემ)	21
1. გუბელი — ილიჩი (ლექსი, თარგმანა ა. ონელმა)	4	ჯადოქარი სარკე	25
3. როშაძე — დიდება ლენინს; (ლექსი, თარგმანა ა. ონელმა)	4	ბუნების პარი	25
ს. ალბარაშო — შენი ბედი და შენი იღბალი (ლექსი, თარგმანა ო. შალამბერიძემ)	5	უცხოური იუმორი	25
საქან სეიფულინი — გულისხმა ჩემი (ლექსი, თარგმანა ო. შალამბერიძემ)	5	დ. ივარდაძე — ვაზის ჩუქურთმა; შემოდგომა; რეკვიემი შინ-მოუსვლელებს (ლექსები)	26
2. მახარაძე — ბათო, ჩემო ბათო (მოთხრობა)	6	ა. ციციანი — ბათუმის ბოტანიკური ბაღი (წერილი)	28
თ. ჩიჩუა — ძველი რომის არქიტექტურა (წერილი)	15	გამოგადგავი	82
		ცხრაპლიტული გარეგ. გვ. 8	

გარეკანის პირველ გვერდზე „თოლიები“. მხატვარი ედუარდ ამბოქაძე.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბუღია, ნოდარ გუგუზინიძე, ჯუანურა კვარაცხელია, სარგო კლდიაშვილი, მუხრან ლეგინიძე, ზურაბ ლეჟაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გიორგი ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქციის — 93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების — 93-97-02 93-97-01

საქ. კვ. ცვ-ის გამოცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии. Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. ვადეცა ასაწობად 18/VI-69 წ. ხელმოწერილია დისაბეჭდად 9/VII-69 წ. კალიდის ფორმატი 60x90%. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. ბირობითი 4. შევ. № 1847. ტირ. 108 700. უკ 00835.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



**3პრტიკალურად:** 1. სახელმწიფო საკუთრების ერთ-ერთი სახე; 2. ნახევარკუნძული ჩრდილოეთ ამერიკაში; 3. საფრანგეთის კომუნის თვალსაჩინო მოღვაწე; 4. გეოგრაფიული ხელსაწყო; 5. ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი; 6. მ. აუეზოვის რომანი; 7. კომუნისტური მოძღვრების ერთ-ერთი ფუძემდებელი; 8. გასული საუკუნის ფრანგი მწერალი და ჟურნალისტი; 9. თვე; 10. ამერიკელი პოეტი, რომელიც მონობის წი-



ტოს ნაწარმოები; 17 რიჟრაჟი ანუ? **3პრტიკალურად:** 1. გამკვირვალე ნივთიერება; 5. თასი ანუ? 18. პრივილეგიური წრე ბურჟუაზიულ სახელმწიფოში; 19. საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ფორმაცია; 8. სპორტული ჯილდო; 10. პატარა საზიდარი; 20. ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი; 21. ბუნებრივი მოვლენა; 22. სამუშაო ხელსაწყო; 23. სახელმწიფო სსრ კავშირის სამხრეთით; 24. ძველი ბოლ-



**ერთი გაღაჭრით**

გადახაზეთ აქ გამოხატული გეომეტრიული ფი-

გურები და მაკრატლით ისე გადაჭერთ, რომ ყოველი ნახატიდან თითო კვადრეტი მიიღოთ. თუ როგორ ხდება ეს, მარჯვენა ნახაზზე ნაჩვენებია (ა-ფიგურა ბ-კვადრატად გადაიქცა), მაგრამ ეს მერვე ფიგურაა, დანარჩენი შვიდი თქვენ გააკეთეთ.



ნაღმდევ იბრძოდა; 11. კონტინენტი; 12. რაიმე მოვლენის აღსანიშნავად წინასწარი ღონისძიების ჩატარება; 13. კუნძულოვანი ქვეყანა; 14. ნავსადგური საფრანგეთში; 15. ძველი გერმანული სახელმწიფო, 16. აღ. ტოლს-

შევიკური გაზეთი; 16. ექსპლოატირებული კლასი კაპიტალისტურ საზოგადოებაში; 25. ძირითადი კანონმდებლობა; 26. მდინარე ინდოეთში; 27. სიგარტის საშოში ერთეული ძველად. **ქ. ტუბულის მეორე სახ. სკოლის VIII კლ. მოსწავლე ბ. ნიშნიანიძე.**

**ფანტასტური ცხოველი**

რომელი ცხოველის ნაწილებიდან შედგება ეს ფანტასტური ცხოველი?




**პასუხი № 7-ში მოთავსებულ სხრაკლიგულზე**

**3პრტიკალურად:** 1. ოტელი. 3. ნისლი. 4. ისკრა. 6. ანემია. 7. დოლიძე. 9. ათი. 10. ენა. 13. ვინ. 15. ასო. 17. არი. 18. სია. 22. უთო. 23. უფა. 24. ანი. 25. ინი. 26. ექო. 28. ტბა. 29. აქლემი. 31. მიქლიო. 33. ოდერი. 34. რონდო. 35. აშორა. **3პრტიკალურად:** 1.

ოლქი. 2. ოქრო. 3. ნავი. 6. ალოე. 6. არმია. 8. ელისო. 9. არისტოტელე. 11. ანტარქტიდა. 12. აისბერგი. 13. ვიქტორია. 14. ნეიტრონი. 15. ალიოზინი. 16. ოქსფორდი. 17. ადისუ... 19. ანტენა. 20. თომიქლიო. 33. ოდერი. 34. რონდო. 35. აშორა. 32. იდეა.

მაღამსგომლი და სხრა წირილი





გადაცემა  
გაგზავნიანათვის



ფოტოები  
გ. სანაძის

მამობა



ფოტოები  
ი. შაბარაძის

